სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N26(9277) 20 სექტემბერი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

სასწავლო წელმა გაზაფხულის ფერი შეურია შემოდგომის სიჭრელეს

6

7

“მაგ მეჩხზე რომ დავაჭაცდე, დაფრთიანდე, დასცე მტერი”...

3

დასუფთავების აქციას სამტრედიაც შეუერთდა

8 თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

2

სოხუმის დაცემის 25 წლისთავის გამო

5

ყოველთვის ძნელია სახლიდან წასვლა

უკან დარჩა საუკუნე...

4

საქართველოს სიყვარული “ზვიადისტობამ” მასწავლა

9

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №43

2018 წლის 3 სექტემბერი
ქ. სამტრედია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა. დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №6 დადგენილებით დამტკიცებული "სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.

დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს მინიჭების წესი დანართი № 1 შესაბამისად.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კობა ძიძიგური
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი №1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მინიჭების სამართლებრივ საკითხებსა და მათი განხილვის წესს.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს მინიჭება ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და ამ დებულების საფუძველზე.

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს მინიჭება

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება და ჯილდო შეიძლება მიენიჭოს:

ა) როგორც საქართველოს მოქალაქეს, ასევე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სრულწლოვან მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა, სოციალური კუთვნილებისა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობისა, თუ მისი მოღვაწეობა და გაცხადებული იდეები მიმართული არ არის საქართველოში დამკვიდრებული კულტურული ტრადიციების, ზნეობრივ-ეთიკური ნორმებისა და სულიერი ცხოვრების წესის წინააღმდეგ.

ბ) საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება სამტრედიისა და საქართველოს წინაშე;

გ) უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს _ განსაკუთრებული დამსახურებისათვის საქართველოსა და სამტრედიის წინაშე ან/და სამტრედიასთან მეგობრული კავშირების განმტკიცებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

2. საპატიო მოქალაქის წოდება და ჯილდო შეიძლება მიენიჭოს არაუმეტეს 5 პირს.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება და ჯილდო ენიჭება პიროვნებას სამტრედიის მუნიციპალიტეტის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისა და დამსახურებისათვის, საგანგებო ვითარებისას გაწეული უანგარო სამსახურისათვის, რომლის საქმიანობა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია სამაგალითოა სამტრედიელთა ყველა თაობისათვის.

4. საპატიო მოქალაქის წოდების და ჯილდოს მინიჭება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, "ნიკობას" ან "სამტრედიელობის" სახალხო დღესასწაულზე.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება და ჯილდო ენიჭებათ კონკრეტული დამსახურებისათვის. დაუშვებელია სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მინიჭება მხოლოდ ნასმახურები წლებისა და საიუბილეო თარიღის გამო.

6. მოქალაქეს, რომელსაც მიენიჭა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება და ჯილდო, უფლება აქვს, უარი თქვას საპატიო წოდებასა და ჯილდოზე და შესაბამისი განცხადებით მიმართოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მიმნიჭებელ კომისიას. კომისია უფლებამოსილია განიხილოს ეს განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

მუხლი 3. საპატიო წოდება

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებაა _ საპატიო სამტრედიელი.

მუხლი 4. საპატიო წოდებისა და ჯილდოს მისანიჭებლად კანდიდატურის დასახელება

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენების უფლებამოსილება აქვს:

ა) საქართველოს პარლამენტის წევრს;

ბ) მხარის რწმუნებულ-გუბერნატორს;

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს;

დ) საკრებულოს თავმჯდომარეს;

ე) მუნიციპალიტეტის მერს;

ვ) საზოგადოებრივ გაერთიანებას;

ზ) საინიციატივო ჯგუფს (ამ შემთხვევაში შუამდგომლობას თან უნდა ახლდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის ხელმოწერა).

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენების უფლებამოსილი პირები კანდიდატურას წარუდგენენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მიმნიჭებელ კომისიას, რასაც წერილობითი სახით თან უნდა ახლდეს:

ა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენების უფლებამოსილი ორგანიზაციის ან პირების რეკომენდაცია, საიდანაც უნდა წარმოჩნდეს საპატიო წოდებაზე წარდგენილი კანდიდატურის ღვაწლი და დამსახურება;

ბ) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;

გ) კანდიდატის ორი ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე;

დ) კანდიდატის წერილობითი თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მინიჭების თაობაზე;

ე) კანდიდატის ბიოგრაფიული ცნობები;

ვ) კანდიდატის ღირსების, ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი, საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი ან საპატიო წოდებაზე წარდგენის დღემდე უცნობი დოკუმენტური და სხვა სახის მასალები.

მუხლი 5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მიმნიჭებელი კომისია და კანდიდატების შერჩევის წესი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მიმნიჭებელი კომისია (შემდგომში _ კომისია) იქმნება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით-ბრძანებით.

2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 11 წევრით. კომისიის წევრებად შეიძლება მოწვეული იქნენ: საკრებულოს, მერიის, საზოგადოების, მასმედიის, პროფკავშირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე, ის მოქალაქეები, რომლებსაც უკვე მიენიჭათ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება და ჯილდო.

3. კომისია აწარმოებს დასახელებული კანდიდატების შესახებ დოკუმენტების შეჯერებას და განხილვას.

4. კომისიას უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ცნობები (მონაცემები) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მისანიჭებლად წარდგენილი კანდიდატების შესახებ.

5. კომისია გადაწყვეტილებას კანდიდატისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მინიჭების თაობაზე იღებს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების ნახევარზე მეტით.

მუხლი 6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მინიჭება

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მიმნიჭებელი კომისიის წარდგენის საფუძველზე, საპატიო წოდებასა და ჯილდოს ანიჭებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მინიჭებისას პირს გადაეცემა შესაბამისი მოწმობა და მედალი, რომლის ნიმუშს ამტკიცებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

3. მოქალაქისათვის, რომელსაც მიენიჭა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება და ჯილდო, მოწმობის და მედლის გადაცემა ხდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მიერ "ნიკობას", "სამტრედიელობის" სახალხო დღესასწაულზე საზეიმო ვითარებაში ყოველწლიურად, ან მერის გადაწყვეტილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით წელიწადის ნებისმიერ დროს საზეიმო ვითარებაში.

4. მოქალაქეს, რომელსაც მიენიჭა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება და ჯილდო, მინიჭების დღეს შეიძლება გადაეცეს ფასიანი საჩუქრები და/ან ფულადი ჯილდო.

მუხლი 7. მოქალაქის უფლებები, რომელსაც მიენიჭა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება და ჯილდო

1. მოქალაქე, რომელსაც მიენიჭა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება და ჯილდო, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილის მიუხედავად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სარგებლობს ყველა იმ სიკეთითა და შეღავათებით, რითაც სარგებლობს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა მოქალაქე.

2. მოქალაქე, რომელსაც მიენიჭა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება და ჯილდო უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საპატიო სტუმრებთან შეხვედრებში, დიალოგებში, დისკუსიებში, მუნიციპალიტეტის საკეთილდღეო ღონისძიებათა შემუშავებაში;

ბ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე დააყენოს საკითხი ნიჭიერი, უნარიანი და კეთილსინდისიერი სამტრედიელის თვითრეალიზაციის ხელშემწყობი პირობების შექმნის თაბაზე.

მუხლი 8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს დამადასტურებელი მოწმობა და მედალი

1.სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს დამადასტურებელი მოწმობისა და მედლის დამზადებას უზრუნველყოფს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია.

2. საპატიო წოდებისა და ჯილდოს შესახებ ჩანაწერები კეთდება სპეციალურ წიგნში.

საქართველოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება № 37 1299 14/09/2018

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მიმნიჭებელი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" _ პუნქტის "ე. ე" _ ქვეპუნქტისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 სექტემბრის №43 დადგენილებით დამტკიცებული "სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მინიჭების წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად.

ვბრძანებ:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 სექტემბრის № 43 დადგენილების შესაბამისად, შეიქმნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მიმნიჭებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნუგზარ ჯამბურია _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე _ კომისიის თავმჯდომარე;

2. კობა ძიძიგური _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე _ კომისიის წევრი;

3. დავით ბახტაძე _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე _ კომისიის წევრი;

4. ნატალია მანჯგალაძე _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი _ კომისიის წევრი;

5. თენგიზ ცაგურია _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქალაქ სამტრედიაში _ კომისიის წევრი;

6. ბადრი შენგელია _ საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე _ კომისიის წევრი;

7. მანანა სირბილაძე _ საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე _ კომისიის წევრი;

8. გიორგი ლეჟავა _ საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე _ კომისიის წევრი;

9. თინათინ ხარძიანი _ №55-ე მაჟორიტარული ოლქის, სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის გრიგოლ(გია) მიქელაძის ბიუროს უფროსი _ კომისიის წევრი;

10. სოფიკო კირთაძე _ ააიპ "საინფორმაციო ცენტრის" ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;

11. ტატიანა გოგუაძე _ ააიპ "სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლეახალგაზრდობის სახლის" დირექტორი _ კომისიის წევრი;

12. ვეფხია ნადირაძე _ ააიპ "სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის" დირექტორი _ კომისიის წევრი;

13. ჯონი ნადირაძე _ წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის კომპლექსის მშენებლობის ხელმძღვანელი _ კომისიის წევრი;

14. ბეჟან გოგია _ შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორი _ კომისიის წევრი;

15. გოგი შენგელია _ ს.ს. "საქართველოს რკინიგზას" პროფკავშირების თავმჯდომარე;

შეიქმნას კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ივანე ხუხუნაიშვილი _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის _ საკრებულოს აპარატის უფროსი;

ბ) ირმა გოგია _ საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში;

გ) ნანა ჯვარშეიშვილი _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი მედიასთან ურთიერთობის საკითხებში _ კომისიის წევრი.

ვალერიანე ფოცხვერია
მუნიციპალიტეტის მერი

8 თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

102,8 პროცენტი _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 8 თვის ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა. კერძოდ, საგადასახდო შემოსავლების გეგმა 2 965 000 ლარს შეადგენდა, ფაქტობრივი შესრულება 2 991 300 ლარი მივიღეთ. რაც შეეხება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მისაღები გრანტების მოცულობას, იგი განსაზღვრული იყო 3 128 800 ლარით, რაც სრულად იქნა მიღებული.

საკუთარი ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 1 312 000 ლარს, ფაქტობრივად შემოვიდა 1 439 300 ლარი. ეს უკანასკნელი გამოწვეულია მოსაკრებლების, კერძოდ, სათამაშო ბიზნესიდან, ჯარიმებიდან და სანქციებიდან მიღებული შემოსავლებით.

8 თვის ბიუჯეტის ხარჯების მოცულობა განსაზღვრული იყო 7 506 000 ლარით. ფაქტობრივად დაიხარჯა 7 500 800 ლარი. ეს უკანასკნელი, ძირითადად, მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების, კულტურული ღონისძიებებისა და სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად.

დავით ბაღდავაძე, სამტრედიის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი: "სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 8 თვის ბიუჯეტის შესრულება დამაკმაყოფილებელია. შეიძლება ითქვას, რომ მივიღეთ საუკეთესო ვარიანტი, ბიუჯეტი შესრულდა 102, 8 პროცენტით. გადაჭარბება დიდი არ არის, მაგრამ მაქვს იმედი, მიმდინარე წლის მომდევნო თვეებში გვექნება უკეთესი სურათი და შევძლებთ, დაგეგმილი პროექტების სრულად განხორციელებას".

ნინო ნანიტაშვილი

დასუფთავების აქციას სამტრედიაც შეუერთდა

ნათია ნაცვლიშვილი

დასუფთავების საერთაშორისო დღეს, რომელიც 14 სექტემბერს აღინიშნება, სამტრედიის მუნიციპალიტეტი ტრადიციულად, რამდენიმე წელია, უერთდება. ასევე იყო წლეულს. სლოგანით "დავასუფთავოთ საქართველო" საკუთარი მუნიციპალიტეტის ქუჩების ნაგვისაგან გასათავისუფლებლად მრავალი ადამიანი გამოვიდა. აქციას ორგანიზებას ტრადიციულად უწევს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბეჟან გეგეშიძე. დილიდანვე განისაზღვრა ოთხი ლოკაცია: რობაქიძის, კოსტავას, ფარნავაზის და ლაშა თევზაძის ქუჩები. მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია მოადგილე დავით ბახტაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ჯერ ლაშა თევზაძის სკვერის დასასუფთავებლად გაემართა. უნდა აღინიშნიოს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში დასუფთავების სამსახური ძალიან კარგად მუშაობს, თუმცა, აქციის მონაწილეებს დასასუფთავებელი ადგილების მოძებნა არ გასჭირვებიათ. ლაშა თევზაძის ქუჩაზე აქციის მონაწილეებს მაჟორიტარი დეპუტატი გრიგოლ მიქელაძე შეუერთდა. გრიგოლ მიქელაძე: "ვუერთდები აქციას, ამიტომ ჩამოვედი თბილისიდან, ჩვენი უბედურება იცით, რა არის? ადამიანები გამოდიან საკუთარი კარ-მიდამოდან, გადაბიჯებენ და წავლენ. ეს პრობლემა უნდა გავითავისოთ, სამოსის სისუფთავე როგორც გვჭირდება, ისე უნდა მივხედოთ გარემოს. ქუჩებს ვაწესრიგებთ, ვალამაზებთ, სამტრედიასა და კულაშში ანძები 40 წელიწადია არ შეღებილა, კორპუსები შეიღება, ტენდერების სისტემამ ძალიან შეგვაფერხა, თვე-ნახევარში დავიწყებთ ამ მიმართულებით მუშაობას და გავაქტიურდებით."

ვალერი ფოცხვერიას ხშირად ვხედავთ ხელთათმანებით მსგავს აქციებზე, ამდენად, მას მივმართეთ კითხვით: "რამდენად დიდია მოსახლეობის ჩართულობა ასეთ აქციებში?"

_ სტიმულს ვაძლევთ მოსახლეობას, მაგრამ სამწუხაროდ, ყველას რომ გათავისებული ჰქონდეს ეს საკითხი, ამდენი დანაგვიანებული ადგილი არ გვექნებოდა, უნდა ამაღლდეს ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერება."

დავით ბახტაძე შვილთან, მეოთხეკლასელ ამირან ბახტაძესთან ერთად მოვიდა დასუფთავების აქციაზე. დავით ბახტაძე: "მსოფლიო დასუფთავების აქცია გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის ინიცირებით ხორციელდება და მას ტრადიციულად, 2010 წლიდან საქართველოც უერთდება, იმართება 14-15 სექტემბერს. დღეს სამტრედიის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა აღნიშნულ აქციას, მასში მონაწილეობას იღებენ "ქართული ოცნების" თავმჯდომარე ტარიელ დვალიშვილი: "გასულ წელს მამაკაცები ვიღებდით მრავალსართულიანი კორპუსებიდან გადმოყრილ უხერხულ ნაგავს (პამპერსს), იყურებოდნენ ბინებიდან და იცინოდნენ, რაც არასერიოზულია... ყოველ თვეში გამოვყოფდი ერთ-ორ დღეს, უფრო ხშირად უნდა გაიმართოს მსგავსი აქციები"

"მე იმიტომ ვარ მოსული, რომ დავასუფთავო გარემო, ვიზრუნო ბუნებაზე და ვიცხოვრო სუფთა ქვეყანაში." _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" აქციის ყველაზე პატარა მონაწილემ ამირან ბახტაძემ.

უარი მარიხუანას!..

ბოლო ხანებში საზოგადოება კანონიერად აღაშფოთა საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულმა თუ მისაღებმა რიგმა კანონპროექტებმა. ამჯერად საუბარი მარიხუანას ირგვლივ, უფრო სწორად, მასთან დაკავშირებულ პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებზე გვექნება.

ოფიციოზი მარიხუანას მოყვანა-რეალიზაციით ქვეყნის ეკონომიური ვითარების გაჯანსაღებაზე აქცენტირებს, თანაც დასაბუთებით.

საზოგადოების დიდი ნაწილი (ჩვენც მათ შორის) ამ გზით გამდიდრების კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ.

"ბადრიჯანი თურქეთიდან შემოგვაქვს, ეს პროდუქტი ვაწარმოოთ იმ რაოდენობით, რომ საერთაშორისო ბაზარზე გავიტანოთ, როგორ, არ იქნება მოგება?" _ ამბობენ ერთნი.

"საქართველოში 500-მდე ჯიშის ვაზია ცნობილი, მათი დიდი ნაწილი გამქრალ-გადავიწყებულია. უძველესი მეღვინეობის, ვაზის სამშობლოში ამ უიშვიათესი კულტურის გაშენებითა და ექსპორტით გავაძლიეროთ ქვეყნის ეკონომიკა". _ ამბობენ მეორენი.

...

16 სექტემბერს მორიგი საკვირაო ქადაგებისას, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, შეეხო რა თემას ბრძანა:

რად გვინდა ისეთი ეკონომიკა, თუ შვილებს დავკარგავთო? ამ დაკარგვაში კი, მისმა უწმინდესობამ ახალგაზრდების სწორი გზიდან გადახვევაში უთუოდ ერთგვარი წახალისება იგულისხმა.

არაა ქართველი ის ადამიანი, რაკი შია, ძაღლის ხორცს შეექცეს.

ღვთისმშობლის წილხვდომილ ჩვენს ქვეყანაში მრავალი გზით შეიძლება სულისმღაფავი ეროვნული ეკონომიკის მობრუნება, ფეხზე წამოყენება, მარიხუანა რომ არ ვაბიბინოთ მამა-პაპათა სისხლით მორწყულ ქართულ მიწაზე.

საპატრიარქოსა და უშუალოდ პატრიარქის მტკიცე პოზიციის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ პარლამენტმა მარიხუანის კულტივაცია-რეალიზაციის საკითხის განხილვა გადადო...

ლევან გაბეჩავა

მუნიციპალიტეტის მერიის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ-ების თანამშრომლები, ძალიან კარგია მსგავსი ღონისძიებები ისინი ემსახურება მოსახლეობის მოქალაქეობრივი ცნობიერების ამღლებას ნარჩენების მართვის კუთხით. ადამიანი, რომელიც ხშირად მიიღებს მონაწილეობას მსგავს აქციებში, უფრო უკეთ იზრუნებს გარემოზე".

საკრებულოს წევრი ფრაქცია "ლესართულიანი კორპუსებიდან გადმოყრილ უხერხულ ნაგავს (პამპერსს), იყურებოდნენ ბინებიდან და იცინოდნენ, რაც არასერიოზულია... ყოველ თვეში გამოვყოფდი ერთ-ორ დღეს, უფრო ხშირად უნდა გაიმართოს მსგავსი აქციები"

"მე იმიტომ ვარ მოსული, რომ დავასუფთავო გარემო, ვიზრუნო ბუნებაზე და ვიცხოვრო სუფთა ქვეყანაში." _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" აქციის ყველაზე პატარა მონაწილემ ამირან ბახტაძემ.

რეპლიკა

რა გვემართება?

ლევან გაბეჩავა

უკვე წარსულს ჩაბარდა დრო, როცა მეეზოვეები უხეირო ცოცხებითა და ვედროებით ლამობდნენ ქალაქის მხოლოდ ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავებას, დიახ, ლამობდნენ, რამეთუ მაშინდელი ტექნიკით ქალაქის, თუნდაც, ერთი ქუჩის მოწესრიგება ყოვლად შეუძლებელი იყო.

დრო განსაკუთრებული სისწრაფით მიდის, გინდა თუ არა, ცხოვრება ვითარდება და ჩვენც ამ განვითარებული ყოფის ნაწილი ვხდებით.

უკვე არავის უკვირს ალიონისა და დაისის შემდეგ ქალაქში ნარინჯისფერ-მოსასხამიანი ქალბატონების ხილვა, გულმოდგინედ რომ ჰგვიან ქუჩებს. ნაგავი კი სპეცტექნიკის მეშვეობით გააქვთ კომუნალური სამსახურის თანამშრომლებს.

არათუ ქალაქი, უკვე დაბა კულაში და რიგი სხვა სოფლებიც, უფრო სწორად, მათი მცხოვრებლებიც სარგებლობენ ნაგვის გატანის სიკეთით. დღისა თუ ღამის განმავლობაში ნაგროვები ნაგვისათვის ქუჩებში სპეციალური ურნები დგას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხის ერთი ნაწილი მაშინაც წუხდა, როცა მათ ქუჩაში ურნა არ იდგა და ამჟამადაც უმადურნი არიან ურნა აქ კი არა, იქ უნდა იდგესო და ა. შ.

ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ გზებზე მავანმა სპეციალური შემზღუდავები, ე. წ. "მწოლიარე პოლიციელები" აყარეს (არადა, ყველანი ითხოვდა მათ დაყენებას), ახლა ურნები. დავდივართ ქალაქის ქუჩებში, მის გარეუბნებში და იშვიათი სანახავი როდია გადაბრუნებული ურნების ხილვა, ხშირად ისინი თავღიაა დატოვებული და შიგ ძაღლები "ილხენენ", ქალაქი კი ბინძურდება, რას ნიშნავს ყოველივე? საკუთარი პერსონის აგდებას თუ კომუნალური გაერთიანების მკლავმოუღლელი თანამშრომლების მძიმე, თუმცა, უაღრესად საპატიო საქმიანობის უპატივცემულობას? ვფიქრობთ, ორივეს ერთად.

გასული წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა, მუნიციპალიტეტის თავკაცთა მხარდაჭერით, გაწმინდეს ქალაქის ტერიტორიაზე გამავალი ღელე-მდინარეთა კალაპოტები. ამოიღეს იქედან ნაგავი, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდა და ფაქტობრივად მოიხსნა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების, ეზოების, ქუჩების დატბორვის საშიშროება. გავიაროთ ამჟამად და საკუთარი თვალით ვნახავთ რა ვითარებაა ღელე-მდინარეებში.

ჩვენი საზღვარგარეთელი მეზობლები მარსზე აპირებენ საცხოვრებლად გამგზავრებას და ჩვენ, ქართველებს, უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ხალხს რა გვემართება?

სამტრედია, ჩვენი პატარა ქალაქი ხომ ყველასია, ჩემი, შენი, მათი...

ნამდვილად არ გვეკადრება მსგავსი საქციელი.

ნამდვილად არ უნდა იყოს საჭიროება, 21-ე საუკუნეში მსგავს თემებზე წერისა.

ჩვენ ასე ვფიქრობთ, თქვენ?

უფასო პოლიტიკური რეკლამა

“ჩვენ ვირჩევთ დავით უსუფაშვილს”

ნინო ნანიტაშვილი

რამდენიმე დღის წინ სამტრედიაში, მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით, დავით უსუფაშვილი ჩამოვიდა. პრეზიდენტობის კანდიდატი ჯერ მომავლის პარკში, შემდეგ დაბა კულაშში, მოგვიანებით კი ნახალოვკაში საკუთარ ამომრჩეველს შეხვდა და პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში საკუთარი გეგმები და ქვეყნის განვითარების მისეული ხედვა შესთავაზა.

სამტრედიულ ელექტორატთან შეხვედრამ კონსტრუქციულ გარემოში ჩაიარა. მუშა პროცესში ამომრჩეველი აქტიურად იყო ჩართული, დავით უსუფაშვილს მისმა მხარდამჭერებმა ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტებზე კითხვები დაუსვეს. დავით უსუფაშვილმა “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში შენიშნა, რომ: “ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია საპრეზიდენტო არჩევნები, რამეთუ სახელმწიფოს მთავარსარდალი არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომელიც ანგარიშვალდებულია არა მარტო საკუთარი ქვეყნის მოსახლეობასთან, ის არის ქვეყნის სახე მთელ მსოფლიოში. მას აქვს უზარმაზარი პასუხისმგებლობა და ვალდებულება, რომ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება დააჩქაროს და გააძლიეროს. შექმნას ბალანსი სახელისუფლებო შტოებს შორის და უზრუნველყოს ქვეყანაში არა მარტო ნორმალური, სტაბილური ცხოვრების გარემო. ჩვენ უკვე დავიღალეთ ამდენი იმედგაცრუებით, ნგრევით, პოლიტიკური კინკლაობებით. დღეს ჩვენ ჰაერივით გვჭირდება პრეზიდენტი, რომელიც იქნება არა რომელიმე პარტიის წარმომადგენელი და მისი ინტერესის გამტარებელი, არამედ ის უნდა იყოს, ზოგადად, ქვეყნის ინტერესების დამცველი. უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს კომპეტენტური, გამოცდილი და ეროვნული ინტერესების გამტარებელი. მე მაქვს სამტრედიელი ამომრჩევლის იმედი, რადგან სამტრედია იყო და არის პოლიტიკური გზაჯვარედინი, დარწმუნებული ვარ, ეს ქალაქი გააკეთებს სწორ არჩევანს, რომელიც მოუტანს მთელ ქვეყანას წარმატებას.”

იმედა გოგავა, “შენების მოძრაობის” ლიდერი სამტრედიის მუნიციპალიტეტში: “დარწმუნებული ვარ, რომ დავით უსუფაშვილის ნიჭი, გამოცდილება, ცოდნა, როგორც არასდროს, ჰაერივით ისე სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას. ამიტომ მხარს ვუჭერ ბატონ დავითს და დარწმუნებული ვარ, მისი გამარჯვების შემთხვევაში ქვეყანა თავს დააღწევს იმ ჯადოსნურ წრეს, სადაც მთელი 30 წელია უიმედოდ ტრიალებს და გამოსავალს ვერ პოულობს. უსუფაშვილს შეუძლია, აბსოლუტურად შეცვალოს პოლიტიკური სისტემა და დაახლოვოს ცივილიზებულ ევროპულ სტანდარტებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ქვეყანა უკან მოიტოვოს მახინჯი პოლიტიკური სისტემა, შექმნას სამართლიანი კონკურენტული გარემო და ქვეყანას მისცეს მომავლის პერსპექტივა. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენ ვირჩევთ დავით უსუფაშვილს”.

დავით უსუფაშვილს, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს, რამდენიმე ოპოზიციური პარტია უჭერს მხარს, კერძოდ, “თავისუფალი დემოკრატები”, “ეროვნული ფორუმი” და “შენების მოძრაობა”.

ჯვართამაღლება

ქრისტიანული საეკლესიო დღესასწაული ჯვართამაღლება 27 სექტემბერს (ძველი სტილით 14 სექტემბერს) აღინიშნება.

სხვადასხვა გადმოცემები არსებობს დღესასწაულის წარმოშობის შესახებ. ერთ-ერთის მიხედვით, (რომელიც უფროა მიღებული) ჯვართამაღლება აღნიშნავს იმ დღეს, როცა იერუსალიმის მახლობლად ჯვარი იპოვეს, რომელზედაც გაკრული იყო უფალი ჩვენი და მაცხოვარი იესო ქრისტე. ჯვარი იმპერატორ კონსტანტინეს დედამ იპოვა.

ყველასათვის შესაძლებელი რომ ყოფილიყო ჯვრის ხილვა, იერუსალიმის მაშინდელმა პატრიარქმა ჯვარი აღმართა, აღამაღლა. სწორედ აქედან წარმოდგება დღესასწაულის სახელწოდებაც.

იმ პერიოდიდან ზეიმობენ ქრისტიანები ჯვრის ამაღლებას.

შესაბამისი მსახურება წარმოებს მოქმედ ტაძრებში ჯვართამაღლებას.

ლევან გაგეჩავა

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში გაზეთი “სამტრედიის მაცნე” იხელმძღვანელებს საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და “საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, საარჩევნო სუბიექტები გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 4 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი, რომლის ღირებულება 200 ლარს შეადგენს.

უკან დარჩა საუკუნე...

სულ ახლახან ჩვენი გაზეთის დიდ მოამაგესა და ჟურნალისტთა უფროსი თაობის ღირსეულ წარმომადგენელს ბატონ კორნელი ჩიხლაძეს 90 წელი შეუსრულდა. გულწრფელად მიულოცა მასზე მხოლოდ ორი წლით უმცროსმა “სამტრედიის მაცნემ” მას იუბილე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, წითელი ჯვრის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის წარმოადგენლები სოფელ ჭაგანში საუკუნის ტოლ ქალბატონ თამარ ჩიხლაძე-უგულავასთან მისალოცად მიდიანო, შევიტყვეთ.

10 სექტემბერს მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მერის მოადგილე დავით ბახტაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, მერიის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, წითელი ჯვრის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად უგულავების ოჯახს მაშინ ეწვივნენ, როცა ოჯახი საყვარელი დედის, ბებიის საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავდა. იქ მისულებმა შევიტყვეთ, ჩვენი კოლეგის, ბატონი კორნელი ჩიხლაძის და რომ ბრძანებულა იუბილარი, ქალბატონი თამარი.

ხელდამშვენებულები, საჩუქრებით ეწვივნენ საპატიო და სასურველი სტუმრები იუბილარს და მოლოცვასთან ერთად მადლობაც უთხრეს ღირსეულად გავლილი წლებისათვის. 500 ლარი გადასცა მუნიციპალიტეტის მერმა იუბილარს, წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა კი სურსათის ამანათი.

ვერავინ იტყვის ქალბატონ თამარ ჩიხლაძეზე საუკუნე მოიტოვა უკანო, საღი აზროვნება, მეხსიერება, ჩვენთან ერთად გაზეთიც წაიკითხა უსათვალოდ, მადლობაც გადაგვიხადა, სასმისიც დაცალა და გვიმღერა კიდეც.

დედა პედაგოგია, სულ ორიოდე წლის წინ საოჯახო საქმეებშიც ღებულობდა მონაწილეობას, საღი აზროვნება დღემდე შეინარჩუნა, მადლობა მუნიციპალიტეტის თავკაცებს, თითოეულ თქვენგანს ჩვენი ოჯახისა და იუბილარის დაფასებისათვის, ერთსულოვანი იყო იუბილარის ოჯახი სტუმრების მისამართით გამოთქმული მადლიერების გამოხატვისას.

ჯანმრთელობას, წელთა სიმრაველს გისურვებთ. დაემშვიდობნენ სტუმრები იუბილარს.

მისასალმებელია მუნიციპალიტეტის თავკაცები განსაკუთრებული ყურადღებით რომ არიან განმსჭვალულები ხანდაზმული ადამიანებისადმი.

ლევან გაგეჩავა

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა

ყოველთვის ძნელია სახლიდან წასვლა

ქეთევან ჭელიძე

აფხაზეთის ყოფილი დე-ფაქტო პრემიერის, სერგეი შამბას "ეხო მასკვასთან" გაცხადებული: "საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში, შეიძლება ითქვას, ლიდერი მე ვიყავი, თუმცა, ასევე პირველმა დავიწყე საუბარი იმაზე, რომ დრო, დიალოგი დავიწყოთ", აქტიური მსჯელობის საგანი გახდა.

რას ნიშნავს ეს და, ზოგადად, რამდენად რეალურად ასახავს აფხაზთა განწყობას ასეთი განცხადება, დრო და მოვლენები უკეთ გაარკვევს. ეს ის შამბაა, "ოპოზიციური ძალების ბლოკის" შეკრებაზე აფხაზეთის ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს უპასუხისმგებლონი რომ უწოდა; რომ მათ "შართვა არ იციან" და თუ მდგომარეობა არ გამოსწორდება, მუხლზე დამდგართ მოუწევთ საქართველოს ან რუსეთს სთხოვონ მათ შემადგენლობაში მიღება.

ჩანს, მაღალი რანგის პოლიტიკოსმა ქვეყნის შემადგენლობაში დაბრუნების არა, მაგრამ საქართველოსთან ყოფნის უპირატესობა, ასე თუ ისე, დააფიქსირა. მით უფრო, რომ რუსეთმა თითქმის არაფერი მოიმოქმედა მისი გავლენის ქვეშ მყოფი ხალხის პირობების გასაუმჯობესებლად. მეტიც, დღეს აფხაზეთში აფხაზებზე ბევრად მეტი სხვა ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. საკუთარ ტერიტორიაზე მათთვის არა მარტო განვითარების, ყოფნა-არყოფნის საფრთხეც სახეზეა. აქედან გამომდინარე, უხეშად რომ ვთქვათ, ვიდრე საქართველო თავის სარგებელზე იფიქრებს, წინ ისევ 27 აგვისტოა, სოხუმის დაცემისა და აფხაზეთის დაკარგვის დღე!

ახლა მსჯელობენ იმაზეც, უნდა შეეყვანა თუ არა სოჭი-ინგირის მონაკვეთზე საქართველოს მთავრობას შეიარაღებული ძალა და ა.შ. მაგრამ მოსახდენი მოხდა და 1992 წლის 14 აგვისტო კიდევ ერთი სისხლიანი ამბის, ქართულ-აფხაზური ომის დასაწყისია, რომელიც 13 თვესა და 13 დღეს გაგრძელდა. მოწინააღმდეგე მხარე 30 სექტემბერს "საქართველოზე გამარჯვებისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის დღედ" აღნიშნავს, როდესაც რუსულ-აფხაზურმა შენაერთებმა ენგურის გასწვრივ მთლიანად დაიკავეს პოზიციები. თუმცა, მისი დამოუკიდებლობა დღემდე მხოლოდ 5-მა სახელმწიფომ აღიარა.

სისხლითა და ცრემლით გაპოხილი მიწა 25 წლის შემდეგაც ვერ-შესალევია ქართველისთვის, იმ ადამიანებისთვის, რომელთაც მუდმივ მონატრებად დაქვთ აფხაზეთი.

იმ ომმა სამტრედიაზეც გაიარა. დღემდე ჭრილობად რჩება საქართველოს მთლიანობისათვის შეწირული შვილები, ისევ არსებობს სიტყვა "დევნილი" და საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი ჩვენი თანამემამულენი. ერთ ასეთ ქალბატონზე მოგითხრობთ ამ წერილში, ლია თევზაძეზე, რომლის ისტორიაც ტყუპისცალივით ჰგავს სხვა, 300 ათასი დევნილის ისტორიას.

მალე 78 წლის გახდება, თუმცა სიცოცხლის სიყვარულითა და ახალგაზრდული შემართებით ასაკი დაამარცხა. პოზიტიური, იუმორით სავსე ქალბატონია. ცდილობს, იმედიანი განწყობა სხვებსაც გადასდოს. ქალბატონი ლია, სხვა დევნილებთან ერთად, ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე მდებარე კორპუსში ცხოვრობს. წარმოშობით სამტრედიელია, დაწყებითი განათლებაც მე-2 საშუალო, როგორც მას ეძახდნენ, ქეთო სტურუას სკოლაში მიიღო. 1964 წელს სოხუმში გადავიდა საცხოვრებლად და სწავლა მე-11 საშუალო სკოლაში გააგრძელა. უმაღლესი პედაგოგიური განათლება მიიღო და წლების მანძილზე სოხუმის პირველ, ე. წ. ელიტარულ სკოლაში ასწავლიდა. ეამაყება, რომ საქართველოს ყოფილი კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია და მისი მეუღლე, ამავე სკოლის დირექტორის ქალიშვილი ცისანა შარანგია მისი მოსწავლეები იყვნენ, ისევე როგორც დალი ხომერიკი, აფხაზეთის კულტურის და განათლების მინისტრი, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ოთარ ეზუგბაიას, ქალიშვილებსაც ასწავლიდა და ბევრ სხვას. პედაგოგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი აქტიურობით. სკოლაში მეთოდგაერთიანებასაც ხელმძღვანელობდა. მას აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლის წოდებაც მიანიჭეს.

ლია თევზაძის მეუღლე, ინჟინერი მიხეილ წულაია პენსიონერია. ამჟამად რუსეთში ცხოვრობს. რუსეთში ცხოვრობენ მათი შვილებიც, გოჩა და გიორგი წულაიები თავიანთი ოჯახებით. მათ უმაღლესი განათლება თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიიღეს. ზამთრობით ქალბატონი ლიაც ტოვებს საქართველოს, მაგრამ დასძენს, რომ აქ ყოფნა ურჩევნია. ახლობლებთან, ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობების გარეშე ვერ ვიარსებებო. მას შემდეგ, რაც 1993 წელს სოხუმიდან ჩამოვიდა, თავისი პროფესიით აღარ უმუშავნია, მხოლოდ მეზობლის ბავშვებს ეხმარებოდა მათემატიკის დაუფლებაში.

აფხაზებთან გასაყოფი არაფერი გვქონდაო და 1992 წელს ომის დაწყებისთანავე შვილებთან ერთად თბილისს მიაშურა. მერე სოხუმში დაბრუნდა. იოლი არ იყო იქ დარჩენილთა მდგომარეობა. აფხაზები სისტემატურად უშენდნენ ჭურვებს ქალაქს, რასაც ბევრი უდანაშაულო, მშვიდობიანი მოსახლე ეწირებოდა. ასე დაეღუპა მეზობელი, რომელმაც ტახტიდან წამოდგომაც ვერ მოასწრო, ისე იმსხვერპლა მის სახლზე დაცემულმა ჭურვმა. დაიღუპნენ მისი სკოლის მოსწავლეებიც... ტრაგიზმით სავსე ამბები ბევრი აქვს მოსაყოლი ქალბატონ ლია თევზაძეს. "ფანჯარას კარადა ავაფარე, ჭურვებს რომ ისროდნენ. ეს რას უშველიდა, მაგრამ ვითომ თავს ვიცავდით. ძალიან გვეშინოდა. არ გვქონდა შუქი, პური, სასმელი წყალი 4 კილომეტრის მანძილიდან მოგვქონდა. შინ თუ ცოცხლები დავბრუნდებოდით, აღარ გვეგონა. მეზობელი სახლს აშენებდა და დაუმთავრებელ სარდაფში წვიმის დროს წყალი რომ დაგროვდებოდა, იმით ვიბანდით. ქვაბსაც ვერ ვრეცხავდით, ლობიოს ისე ვხარშავდით მასში, თუ ის ლობიოც გვქონდა. ბევრი წავიდა სოხუმიდან. სკოლაშიც თითო-ოროლა ბავშვი დადიოდა. ერთ საკლასო ოთახში სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს ერთდროულად ვუტარებდი გაკვეთილს და დავალებებს ვაძლევდი. სროლის დროს თავს სკოლაში არსებულ თავშესაფარს ვაფარებდით". _ იგონებს ჩვენი რესპონდენტი.

სწავლა ახალი დაწყებული იყო, აუცილებელი საქმის გამო, ქალბატონმა ლიამ დირექტორს ორი დღით გათავისუფლება სთხოვა და თბილისში წავიდა. უკან დაბრუნება ვეღარ შეძლო. სოხუმისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა და ქალაქში არ შეუშვეს. მის მეუღლესაც დაეტოვებინა სოხუმი და ბაბუშერაში წასულიყო. იქ ძალიან კარგი სახლი გვქონდაო, ამბობს, რომელშიც მისი მული ცხოვრობდა. სოხუმი რომ აიღეს, აფხაზები არავის ინდობდნენ, ყველას ჰკლავდნენ, ასე დაცხრილეს საკუთარ ეზოში მათი მეზობელი კალანდიები, ოჯახის 5 წევრი. მიხეილ წულაია და მისი და იძულებულები შეიქნენ, სახლი დაეტოვებინათ და სიმინდის ყანისთვის შეეფარებინათ თავი. თითქმის ერთი თვე იმალებოდნენ ასე. შემდეგ ახლობელმა აფხაზმა, რომელიც აეროპორტის დირექტორი იყო, ენგურის ხიდამდე მოაცილა ისინი.

საცხოვრებლად სამტრედია აირჩიეს, რადგან აქ ლია თევზაძეს თავისი ნათესავები ეიმედებოდა. მაინც არ იყო იოლი გარემოსთან შეგუება. "ძალიან მდიდრები არ ვყოფილვართ, მაგრამ ცხოვრებისთვის აუცილებელი ბევრი რამ გვქონდა. ისე ჩამოვედით, არაფერი წამოგვიღია. რომც წამოგვეღო, გზაში მაინც წაგვართმევდნენ. იანვარში ბატისტის, თხელი კაბით დავდიოდი. ბევრი შეურაცხყოფასაც გვაყენებდა, დაგვცინოდნენ, აქეთ რას მოდიოდით, იქ რატომ არ დარჩით და იბრძოლეთო. ისეთებიც იყვნენ, გვერდით რომ დაგვიდგნენ. მინდა მადლობა ვუთხრა მათ". _ გვიზიარებს განწყობას ქალბატონი ლია.

წლების შემდეგ, როცა ქართულ-აფხაზური ომის შედეგებზე მსჯელობს, მიაჩნია, რომ შეცდომები ყველამ დაუშვა, რომ აფხაზები და ქართველები მჭიდრო ნათესაურ კავშირში იყვნენ ერთმანეთთან. იშვიათად იყო ოჯახი, აფხაზი სიძე ან რძალი არ ჰყოლოდა და პირიქით. "ჩემს სკოლაში 4-5 აფხაზი მასწავლებელი მუშაობდა. არასდროს გვქონია მათთან უკმაყოფილება, პირიქით, პატივს ვცემდით ერთმანეთს". _ იგონებს ის. მისი აზრით, მდგომარეობა "მხედრიონის" გამოჩენის შემდეგ დაიძაბა. იხსენებს, ბევრი მათგანი, თუ როგორ ძარცვავდა ადგილობრივ მოსახლეობას. ხშირად წინააღმდეგობასაც კი უწევდნენ ისინი, ვინმეს სახლი არ გაექურდათ. ისიც მოიგონა, თუ როგორ შესთავაზეს საყიდლად მის მეზობელს მისივე დის სახლიდან გამოტანილი როიალი; როგორ წაართვეს მის თანამშრომელს ოქროს ბეჭედი, რომელიც შეიარაღებულმა ახალგაზრდამ სხვა ბეჭდებთან ერთად მძივივით რომ ჩამოიკიდა გულზე; დღემდე ვერ ივიწყებს დილით სკოლაში მიმავალი მოწმე რომ გახდა ჭურვის ჩამოვარდნისას ადამიანების დაღუპვის. გარდაცვლილთა შორის ქალიც იმყოფებოდა, რომელსაც ხელზე ბეჭედი ეკეთა. სროლები რომ გაგრძელდა, გაკვეთილები მალევე დატოვეს, უკან დაბრუნებულს კი თვალში ეცა, რომ იმ გარდაცვლილისთვის ბეჭედი ვიღაცას წაეძრო. "მაიმუნსაშენიდან გამოყვანილი პატარა მაიმუნები ზოგიერთს მხარზე ესვა და ქუჩაში ისე დადიოდა. ძალიან ცუდად იქცეოდნენ. დასახმარებლად ვინმეს რომ გამოვიძახებდით, ისიც მისიანი იყო და ბევრს ვერაფერს ვაღწევდით. ისეთებიც მრავლად იყვნენ, ვინც ასე არ იქცეოდა. ვისაც მართლა უყვარდა სამშობლო და იბრძოდა, ბევრი მათგანი დაიღუპა კიდეც." _ გულისტკივილს გამოხატავს ქალბატონი ლია.

1993 წლის 27 ივლისს დადებული ხელშეკრულება, რომელიც ომის შეწყვეტას, აფხაზეთიდან დაქირავებული მებრძოლების გაყვანას, ხოლო ჩვენი მხრიდან ჯავშანტექნიკისა და არტილერიის გატანას ითვალისწინებდა, აფხაზურმა მხარემ არ შეასრულა. დღემდე ეეჭვება ქალბატონ ლია თევზაძეს, ჩვენ რომ ჯარი გამოგვყავდა გუმისთასთან აფხაზები სანგრებს თხრიდნენ და ეს როგორ ვერავინ გაიგოო? გვიყვება: "სოხუმში ცენტრალურ გზაზე ვცხოვრობდით, ზღვასთან ახლოს. იმ პერიოდში ერთ დღეს დიდმა სატვირთო მანქანამ გაიარა. ბიძაშვილს დავურეკე, რა ხდება-მეთქი. იმან კიდევ შტაბში გადარეკა და უთხრეს, ყველაფერი გადამოწმებულია და წესრიგშიაო, მერე კი გავიგეთ, რომ იმ მანქანით ტყვარჩელში ჩვენი მოწინააღმდეგეებისთვის იარაღი მიქონდათ."

27 სექტემბერს, როცა სოხუმი დაეცა, ლია თევზაძემ მიკროინფარქტი მიიღო და სამტრედიის საავადმყოფოში დაწვინეს. სინანულს გამოთქვამს, რომ ჟიული შარტავასთან, გურამ გაბისკირიასთან და სხვა 27 თანამშრომელთან ერთად მაშინ მისი თანაკლასელი ჯუმბერ ბეთაშვილიც დახვრიტეს. გაგრა რომ აიღეს, იქაური ქართველები სოხუმის აღებასაც უკვე ელოდნენ, მაგრამ როცა ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ, მაინც რთული გახდა ამის გათავისება. "ყოველთვის ძნელია სახლიდან წამოსვლა, _ გვარწმუნებს ის, მით უფრო, რომ იქიდან გაგდებენ, გგონია დაბრუნდები და ვეღარ ბრუნდები." სხვების მსგავსად ისიც ფიქრობდა, უკან მალე დაბრუნდებოდა, ახლა ამის აღარ სჯერა. მის სახლში სოხუმში აფხაზი ცხოვრობს. ქალბატონი ლიას შვილის თხოვნით, ისევ აფხაზმა ივანე პაპასკირიამ მხოლოდ ფოტოალბომები ჩაუტანა მას რუსეთში. დაუბარებით, აქ თქვენი მეტი არაფერიაო. ბაბუშერაში მათ სახლში მცხოვრებმა აფხაზმა კი შემოუთვალა, შენს სახლს რომ ვუვლი, შვილის ქორწილი მაქვს და ფული გამომიგზავნეო! "ასე მგონია, აფხაზები ნანობენ იმას, რაც მოხდა, რადგან ჩვენთან ერთად უკეთესად ცხოვრობდნენ. ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან და ამას განიცდიან. ბევრი გადადის იქით და საქართველოშიც ჩამოდიან. მე არ შემიშვებენ, იმიტომ, რომ ჩემი მეუღლე არ მოსწონდათ თავისი განცხადებების გამო. პენსიისთვის ცნობა რომ დამჭირდა, ლამის, უარი მითხრეს, ამ კაცის ცოლს ცნობა როგორ მივცეთო." _ ჰყვება ის.

გაკვეთილზე მკაცრი იყო, მაგრამ სკოლის გარეთ ყოველთვის თავისი მოსწავლეების მეგობრად თვლიდა თავს. ამგვარი დამოკიდებულება და სიყვარული დღემდე შემორჩა და საქართველოში მყოფი მისი აღზრდილები ხშირად ეხმიანებიან, დაბადების დღეც რამდენჯერმე აღუნიშნეს ლია თევზაძეს. ჩვენთან საუბარში ბოლო შეხვედრაც გაიხსენა, რომელიც მცხეთაში თავისი ყოფილი მოსწავლის აგარაკზე შედგა. ტელეფონში სურათებს მათვალიერებინებს და სიყვარულით საუბრობს ერთ დროს ამ პატარა გოგო-ბიჭებზე. ეს ის თაობაა, რომელსაც სჯერა აფხაზეთში დაბრუნების. იმათ, ვისაც არ უნახავს იგი, მითია სამშობლოს ულამაზეს კუთხეზე. აქვე ერთი ახალგაზრდა ბლოგერის წერილსაც მოვიშველიებ. "... გვიფიქრია, რა არის ჩვენთვის აფხაზეთი? იქნებ, მხოლოდ საგზაო ნიშნები, დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალ გზაზე, ამინდის პროგნოზი საინფორმაციო გამოშვების ბოლოს, ან კიდევ, კედლებზე ოკრობოკროდ დატოვებული გრაფიტი თუ ბანერი მაგისტრალზე წარწერით: გვახსოვდეს აფხაზეთი?"

ალბათ, არა! რადგან ახსოვთ და დაბრუნების იმედი ისევ ცოცხლობს!

სასწავლო წელმა გაზაფხულის ფერი შეურია შემოდგომის სიჭრელეს

თეა ბაბუნაშვილი

წვიმდა სექტემბერი! ღრუბლებში მიმალული შემოდგომის მზე მიწაზე მაინც მზიანობდა. სასწავლო წელი განაახლეს სიცოცხლის ფერებად ქუჩებს მოდებულმა გოგო-ბიჭებმა. სასკოლო ჩანთაში ზაფხულის მოგონებები საგზლად ჩაილაგეს და მზემ ფანჯარას სხივი რომ სტყორცნა, სკოლისაკენ ჰერი, ჰერით გაზაფხულის ფერი შეურიეს შემოდგომის სიჭრელეს. რამდენად მოდურია ამ სტრიქონის გახსენება ძველი საბავშვო ლექსიდან, სხვა თემაა. თუმცა, ახლა იქედნური სიბრძნის დრო დაგ განწყობა სულაც არ არის, რადგან სასწავლო წელი განახლდა და მისი ჟრიამულის ექომ დედამიწა ლაჟვარდებს მიაწვდინა!

ჯერ კიდევ წინა დღეს ეკლესია და მრევლი ქუჩაში აპროტესტებდა ქვეყნისა და მომავალი თაობის ინტერესებისთვის კანაფის ლეგალიზაციის საკითხს. მეორე დღეს კი სასწავლო წელი უნდა განახლებულიყო. განათლების სისტემაში არსებული სირთულეები კიდევ ერთი და ყველაზე სწრაფად მოსაგვარებელია ქვეყანაში არსებულ პრიორიტეტულ პრობლემებს შორის.

არჩევანს საკუთარ სკოლაზე უკვე ტრადიციულად აკეთებს მუნიციპალიტეტის მერი და განახლებულ სასწავლო წელს სწორედ ეწრის საჯარო სკოლიდან ულოცავს მთელ მუნიციპალიტეტს, მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს.

ახმაურებულ ეზოში გაიკვლია გზა და შემოგებებულ სკოლის დირექტორ მიხეილ კოპალეიშვილთან ერთად საზეიმო შეხვედრა გახსნა ვალერიანე ფოცხვერიამ: "ჩემს მოსწავლეობაში პირველ სექტემბერს ვიწყებდით სასწავლო წელს, ახლა სექტემბრის შუა რიცხვებში გადმოიწია ამ თარიღმა. ვულოცავ ამ დღეს ყველა პედაგოგს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს. ბუნებრივია, ჩემი მშობლიური სკოლის მონახულება ყოველთვის სასიამოვნოა ჩემთვის. ჩემი სასწავლო წელი იწყებოდა და მუდამ ამ სკოლიდან დაიწყება. აქ ყველაფერი მშობლიური და საყვარელია. ამ სკოლის წარმატებებზე საუბრობდნენ რამდენიმე წუთის წინ და მეამაყება, რომ აქაურ კედლებში მეც გავიზარდე. გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას, არ შევჩერებულიყავით უკვე მიღწეულზე, კიდევ უფრო დიდი წარმატებები მომავალ თაობას, ქვეყნის ხვალინდელ დღეს! განსაკუთრებული სითბოთი მინდა პირველკლასელებს მივულოცო სასწავლო წლის დაწყება და იმავდროულად ცხოვრების ახალ საფეხურზე გადასვლა."

სკოლის მიღწევებზე საუბრისა და წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოვების შემდეგ პირველკლასელებს დაუთმეს ასპარეზი. ამ დღისთვის საგანგებოდ დასწავლული ლექსებით, გარითმული სტრიქონებით და ბავშვურად გულწრფელი გრძნობით ეფერებოდნენ გულანთებულები, შეუცნობლის შეცნობის მოლოდინით აღსავსეები სამშობლოს მთა-ბარს, დედის ღიმილის მსგავს ღიმილიან პირველ მასწავლებელს. მერხზე "დედაენა" დამხვდებაო, ლამაზთვალება ბიჭმა, მაგრამ... "დედაენა" ლამაზ მოგონებად ძველ საბავშვო ლექსებსა და მათი მშობლებისა და კიდევ მათი წინამორბედი თაობების მეხსიერებას შემორჩა მხოლოდ. მერხზე "დედაენა" არა, თანამედროვე ტექნოლოგიების ფეხაწყობით ახალი "ბუქი" დახვდათ ამ გოგო-ბიჭებს. იმედია, "დედაენის" ადგილი კვლავ "მოიძებნება" ამ თაობების სწორი სულიერი აღზრდისთვის, იმისთვის, რომ მომავალშიც ახლად დაწერილი ლექსების ტაეპებით ძველი, ემოციებით წასაკითხი სტროფებივით ამაყად წაიკითხონ "მე ისიც მეყოფა, რომ მქვია ქართველი!"

კულაშის მკურნალის სახელობის საჯარო სკოლა სარემონტო სამუშაოებით შეეგება ახალ სასწავლო წელს. 120 წელზე მეტი ხნის წარსული ისტორიულ რარიტეტებად ჯერაც აჩნია მოჩუქურთმებულ კიბის მოაჯირებს, შენობის არაერთ დეტალს. სასწავლო წლის მოგვიანებით დაწყებას ვარაუდობდნენ ამ სამუშაოების გამო, მაგრამ სკოლის დირექტორმა ნუგზარ კვანტალიანმა განმარტა: " ჯერ კიდევ შარშან შეკეთებულ საკლასო ოთახებში გადავნაწილდით და ოქტომბრის შუა რიცხვებამდე როგორმე მოვთავსდებით, მაშინ კი სამუშაოები დასრულებული იქნება. ახალი სასწავლო წლის განახლების სიხარული არ დავუგვიანეთ მოსწავლეებს." "ხომ ხედავთ, "ჩაცმულები" ვმუშაობთო, უპასუხეს მუნიციპალიტეტის მერის შენიშვნას _ სწრაფად და ხარისხიანადო, ხელოსნებმა, ახალი სასწავლო წლის დაწყებას მოსწავლეებივით გამოპრანჭულები რომ "შეეგებნენ".

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია შინაურია ამ სკოლაში. შინაურია, რადგან, იგი აქაური მოსწავლე, ხოლო შემდეგ მასწავლებელი გახლდათ. ამ სკოლას ხელმძღვანელობდა მამამისი აკაკი ჯამბურია.

იმ საკლასო ოთახს, სადაც მე-5 დან მე-10 კლასამდე უჯდა მერხს, გულგრილად ვერ ჩაუარა ნუგზარ ჯამბურიამ. მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გადასახედად სწორედ აქ შეჩერდა, საკუთარი მოსწავლეობა, შემდეგ ფიზიკის პედაგოგის და სკოლის ორგანიზატორის ამპლუაში გატარებული წლები გაიხსენა და განახლებული სასწავლო წელი მთელ საქართველოს მიულოცა: "ყველაზე სანატრელი ახლა ამ საკლასო ოთახში მოსწავლის მერხთან ჯდომა იქნებოდა, საამაყოა პედაგოგის ამპლუაში ყოფნა. სასიხარულოა, რომ კულაშში განათლების ეს პირველი კერა ისევ ხმაურობს, ჟრიამულობს და კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს საკუთარ ფუნქციას. გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, წარმატებები მოეტანოს მას. რამდენიმე დღის წინ ჩვენ დავასაჩუქრეთ ახალგაზრდები, ვინც სწავლაში გამოჩენილი ბეჯითობისთვის სახელმწიფომ გრანტით გამოარჩია. მინდა, ბევრი გვყავდეს მათნაირები და ჰყავდეს ამ და კიდევ ბევრ სხვა სკოლას სამტრედიასა და საქართველოში!"

ამასობაში მზე ღრუბლებს გამოეპარა და სექტემბერი ჩვეული თბილი ღიმილით მიესალბუნა მერხებთან, მეგობრებთან, პედაგოგებთან კვლავ შეხვედრით ახმაურებულ მოსწავლეებს. ამიერიდან სხვა სიცილი აახმიანებს ქუჩებს, შემოდგომის მზეს ბავშვური გულწრფელობა გააცისკროვნებს.

მეორე დღეს კი ქალაქის ცენტრში, მომავლის პარკში, ადგილობრივი ძალებითა და მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ორგანიზებით, სასწავლო წელი მხიარული საკონცერტო საღამოთ განაახლეს.

"მაგ მეჩხზე რომ დავაჭკაცდე, დაფრთიანდე, დასცე მტერი"...

ნათია ნაცვლიშვილი

_ ამ სტროფით ერთ-ერთი პირველკლასელი ეგებება ახალ ეტაპს მისი ცხოვრებისას! ცოდნისა და სწავლის ზარი საქართველოს 30 000-მდე საჯარო და 6 000-მდე კერძო სკოლაში დაირეკა! ჩვენს ობიექტივში ამჯერად ერთი ქალაქის და ერთი სოფლის სკოლა მოექცა. ყოველი სასწავლო წლის დაწყება მესამე საჯარო სკოლაში დღესასწაულია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ეზოში წითელი ხალიჩა იფინება და შესანიშნავი კონცერტი იმართება, ბავშვების ცეცხლოვანი ცეკვები, სიმღერები და ლექსები ერთურთს ერწყმის და სიხარულის გრძნობას და განცდას უმძაფრებს თვალცრემლიან პირველკლასელებს, ჯერაც დედის კალთას რომ ჩაფრენიან... წლეულს ამ საზეიმო განწყობას ექსკლუზიური სკოლის ფორმაც დაემატა და გოგო-ბიჭები განსაკუთრებულად ლამაზები მიუსხდნენ მერხებს. ფორმა ემოსათ პედაგოგებსაც, მათ ამ ჟესტით მოსწავლეებს გამოუხატეს თანადგომა... წლეულს სკოლაში სამი პირველი კლასია.

ღონისძიება მეათე ბ კლასის დამრიგებელმა ფიქრია მსხილაძემ და ბიბლიოთეკარმა მზია უღრელიძემ მოამზადეს, მუსიკალური გაფორმება კი, წლებია, სკოლის ნამდვილ ღირსებას, მუსიკის პედაგოგ ანა აბზიანიძეს აქვს მინდობილი. ღონისძიება უფროსკლასელებმა წაიყვანეს. "ამ ქალბატონისათვის თითოეული მოსწავლის თვალების შემონათება ტაძარში დანთებული სანთლების ელვარებას უტოლდება." _ აღნიშნეს წამყვანებმა და სიტყვა სკოლის დირექტორს, ვენერა ივანიშვილს, გადასცეს. "მადლობა მშობლებს, პედაგოგებს, მოსწავლეებს, რომ არ იშურებთ ძალისხმევას, სიხარულს, წინსვლას და ულევ წარმატებას გისურვებთ!"_ მიესალმა დირექტორი შეკრებილთ.

მესამე სკოლის ერთი კლასის რაოდენობა უტოლდება იმ სკოლის კონტინგენტს, რომელზეც უნდა გიამბოთ. თუმცა, მცირერიცხოვნობას ხელი არ შეუშლია სოფელ ნიგორზღვის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზეიმო განწყობისთვის. ულამაზესი სოფლის ფერდობებს კვლავ მოედო თვალისა და გულის გასახარი სითეთრე სასკოლო სამოსისა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ამ მაღალმთიან სოფელში ყოველ სასექტემბროდ რიტორიკულად ისმის შეკითხვა: რამდენი პირველკლასელი იქნება? აქ სკოლის ზარი წლეულს ორად ორი პატარისათვის დაირეკა _ ნიკოლოზ და შიო გაგუებისთვის. ზოგ სოფელს ერთი პირველკლასელიც ჰყავს, არსებული მიგრაციის ფონზე სოფლის სკოლების კონტინგენტი დღითიდღე მცირდება. საგანმანათლებლო კერა კი ის ერთადერთი ნათელი სხივია, რაც სოფლის სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს, ამიტომაც, ყოველი ბავშვი სოფლის სიმდიდრეა! სკოლის დირექტორი გრიგოლ კიკვაძე ტრადიციულად მიესალმა პედაგოგებს, მშობლებს და ბავშვებს, წარმატებული სასწავლო წელი უსურვა მათ, განსაკუთრებით კი პირველკლასელები გაამხნევა. სკოლის ბავშვები არაერთი ქორეოგრაფიული თუ მუსიკალური ანსამბლის წევრები არიან, ამიტომაც შესანიშნავი საზეიმო ცერემონიალი მოაწყვეს.

მათი მიღწევების ჯრეული ღედამინწს უნდა გასცდეს კოსმოსამდე

თეა ბაბუნაშვილი

საკრებულოს დარბაზი ერთ დიდ აუდიტორიას ჰგავდა, უკვე სტუდენტებით ნელ-ნელა ივსებოდა. ყველა მათგანმა ვერ შესძლო მოსვლა, თორემ გაცილებით მეტი იქნებოდნენ. მომავალი თაობის ნახვა, ბევრის ერთად დანახვა, ყოველთვის სასიამოვნო გრძნობებს იწვევს, მით უმეტეს, თუ ისინი განსაკუთრებული წარმატებებით გამოირჩევიან.

ეს ახალგაზრდებიც ისინი არიან, ხვალ რომ უნდა მართონ ქვეყნის მომავლის ჩარხი გამოსასწორებლის გამოსწორების, ასაშენებლის აშენების და დასამშვენებლის დამშვენების სურვილით. და სანამ საქართველოს ხვალინდელი დღე ხვალეს ჩაიბარებს, კენწეროში გასატკბილებელი მწარე სწავლის ძირი უკვე პირველ წარმატებებს აგემებინებს მათ.

ისინი სამტრედიელი წარჩინებულები არიან, თანამედროვე ტერმინოლოგიით გრანტოსნები. მათი თორმეტწლიანი წარჩინებული და ბეჯითი სასკოლო ეპოპეა უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად სახელმწიფომ ფინანსური შეღავათებით დააჯილდოვა.

გასულ სასწავლო წელს სკოლა 445-მა სამტრედიელმა მოსწავლემ დაამთავრა, აქედან 69 წარჩინებული სწავლისთვის მედლის მფლობელი გახდა.

ჯერ კიდევ მაშინდელი მოსწავლეებისთვის, როცა სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო გახლდათ და იყო სწავლისა და სწავლების სხვა მოთხოვნები და მიდგომები ამ პირველ და მნიშვნელოვან საფეხურთან მიმართებაში, ეს კოლოსალური ციფრია. ათეული წლების წინ რაიონს 5-6 მედალოსანი თუ ეყოლებოდა, მაგრამ ეს სულაც არ იძლეოდა მაშინდელი თაობის განათლებაში მცირედი ეჭვის შეტანის საბაბს, პირიქით. დღეს მრავლისმეტყველი ღიმილი ყოველთვის ახლავს შეფასებას _ მაშინდელი და ახლანდელი მედალი, ერთია?! მათ, ვინც ამ მოსაზრებას კომუნისტებისდროინდელ "ჩაწყობას" დაუპირისპირებს, იგივე ღიმილით იგივე ფრაზის გამოყენება, ეროვნულ გამოცდებზე ჩაჭრილი მედალოსნების სტატისტიკით გამყარებული, იკმარონ პასუხად!

თუმცა, ახლა ამაზე ნუ ვისაუბრებთ, უბრალოდ, გავიხაროთ იმით, რომ სამტრედიას ოთხი 100, თოთხმეტი 70 და ოცდათექვსმეტი 50 პროცენტიანი გრანტის მფლობელი ჰყავს!

მათთვის ვინც მისი ფასი იცი, ფასდაუდებელი საჩუქრით, წიგნით თანდართული მილოცვები, მუნიციპალიტეტის ხელისუფლებისგან მიიღეს გრანტოსნებმა. "ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის. სახელმწიფო ზრუნავს, რომ ნიჭიერთა შორის ნიჭიერები კიდევ უფრო გამოარჩიოს. უნდა გვიხაროდეს მათი სიმრავლე, რამეთუ, ისინი არიან ჩვენი უკეთესი ხვალინდელი დღის შემოქმედნი. ვულოცავ ამ ბავშვებს პირველ წარმატებას მათი შემდგომი ცხოვრების პირველსავე ეტაპზე, გვიმრავლოს მათნაირები." _ ასე მილოცვის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ აღნიშნა, რომ წელს განსხვავებულად, მცირედი საჩუქრით გადაწყვიტა ადგილობრივმა ხელისუფლებამ სამტრედიელი ახალგაზრდების პირველი დიდი წარმატება აღენიშნა. დასძინა, რომ განსაკუთრებით საკუთარი ნათლულის, 50% გრანტის მფლობელ ანანო თვალავაძის მიღწევებმა გაახარა.

"ქვეყნის გადარჩენა, მხოლოდ და მხოლოდ დაღვინებული, ცოდნით სავსე ადამიანების ხარჯზე შეიძლება! ვულოცავ ამ ბავშვებს! მე პედაგოგი გახლდით და კარგად ვიცი, ამის მიღწევა რამდენად დიდი შრომითაა შესაძლებელი. მათი წარმატებები არ მხოლოდ მათთვის და მათი ოჯახებისთვისაა სასიხარულო, ყველა ჩვენგანისთვის საიმედოა, რადგან ისინი ჩვენი ცვლა, ხვალინდელი დღე არიან!" _ საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ ჯამბურიამ, როგორც სხვა დროს არაერთგზის, ამჯერადაც პედაგოგის ამპლუაში ყოფნა ინატრა.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა ალექსანდრე თევზაძემ ხაზი გაუსვა, რომ: "ყველა ქვეყანა, რომელსაც პრეტენზია აქვს წინსვლაზე, განათლების სისტემის გაძლიერებაზე აკეთებს აქცენტს. ამ პრიორიტეტის გარეშე ყოველგვარ მიღწევაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

მსჯელობა იმაზე, სკოლის დამსახურებაა ეს მიღწევები, თუ იმ რეპეტიტორების, ვისთანაც ეს ბავშვები დამატებით მეცადინეობდნენ, გლობალური თემაა დღევანდელ საქართველოში. განათლების ხარისხის ამაღლებასა და ამ სფეროში სასწრაფო, გარდაუვალ ცვლილებებზე მსჯელობა, მხოლოდ და მხოლოდ საუბრის ფორმატს არაერთი წელია ვერ სცილდება. ასეა თუ ისე, წიგნთან გათენებულმა, ცოდნის შეძენის წყურვილთან ჩასაფრებულმა, თეორად ნათენებმა ღამეებმა შედეგი გამოიღო! გამორჩეული მოსწავლეები, სამტრედიის სახელი უმაღლეს სასწავლებლებამდე განსაკუთრებული წარმატებებით რომ მიიტანეს, უკვე აუდიტორიებს აახმიანებენ. და როგორც უსურვეს იმ შეხვედრაზე, მათი შემდგომი მიღწევების არეალი დედამიწას უნდა გასცდეს კოსმოსამდე!

და ერთიც, ვისურვოთ და ამ ახალგაზრდებსაც ვუსურვოთ, იცხოვრონ და იმოღვაწეონ ისეთ საქართველოში, სადაც ცოდნა ჭეშმარიტად დაფასდება და დროს შერჩენილი გამოთქმა _ ჭკვიანი არავის უნდა, იმიტომ, რომ ადვილად ვერ მართავ, დროს დროულად ჩაბარდება.

საქველმოქმედო საღამო მამა ათანასეს დასახმარებლად

ნათია ნაცვლიშვილი

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში სამტრედიელი პუბლიკა საქველმოქმედო აქციამ შეკრიბა. შესანიშნავი წარმოდგენა " ჩხიკვთა ქორწილი" აქ მაყურებელს არაერთხელ უნახავს გადაჭედილ დარბაზში. ანსამბლ "იმედის" წევრებს, ანა აბზიანიძის მოსწავლეებს ტაში და ოვაცია არც ამჯერად აკლდათ. ახალგაზრდებმა შესაშური ნიჭიერებით, საუკეთესო ვოკალური თუ ქორეოგრაფიული მონაცემებით, გემოვნებით, დახვეწილობითა და ენერგიულობით წარმოადგინეს სანახაობა. მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა მაყურებელი შემოქმედებით მხარეზე საუბარს ქველმოქმედებაზე საუბარს ამჯობინებდა. ფერისცვალების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ათანასე (რუხაძე) საჭიროებს უცხოეთში მკურნალობას, მის დასახმარებლად გახსნილია სპეციალური ანგარიშიც. დარბაზში იდგა ყულაბა, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს სიმბოლური თანხის ჩაგდება შეეძლო. საღამოს მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ხელმძღვანელი პირებიც დაესწრნენ.

წარმოდგენის შემდეგ შეკრებილთ სცენიდან მიესალმა დეკანოზი დავითი (ტურძელაძე), დალოცა საღამოს ორგანიზატორები, მონაწილენი და განაცხადა: "მართლაც ძალიან საჭირო ღონისძიება ჩატარდა, ბავშვებო, მადლობა დახმარებისათვის, ძალიან ლამაზი შესრულებისათვის, გაოცებული ვარ, მადლობა ამ სიყვარულისათვის, სიკეთისათვის, გვერდით დგომისათვის, მართლაც გვაჯლია ერთობა, რომ გადავრჩეთ და გავძლიერდეთ. ღმერთმა ინებოს, ეს ერთობა გვქონდეს სამომავლოდ. რომ ვუყურებ ამ წიგნიერ, ნათელ ახალგაზრდებს, მჯერა ჩვენი ქვეყნის მომავლის, ღმერთმა დაგლოცოთ!"

მუნიციპალიტეტის მერმა ვალერი ფოცხვერიამ შეკრებილთ მიმართა: "მადლობა ამ ლამაზ გოგო-ბიჭებს, შესანიშნავი წარმოდგენისათვის, გულისტკივილით ვიტყვი, სამწუხაროა, რომ ასეთ საქველმოქმედო აქციაზე დარბაზში სიხალვათეა, მადლობა ანა აბზიანიძეს დღევანდელი საღამოსათვის."

ანა აბზიანიძე: "ვინაიდან ცოტა ხალხი მოვიდა, გული გახეთქვაზე მაქვს, არა უშავს, ჩვენ გადავწყვიტეთ, ყოველი კუთხე-კუნჭული მოვიაროთ და თითო ლარითაც კი შევეწიოთ მამა ათანასეს!"

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური:

"ჩვენი, ყველას მოვალეობაა დავეხმაროთ შეჭირვებულ ადამიანს, მით უფრო, როცა საქმე მამაოს ეხება, კარგია, რომ ტარდება ასეთი შესანიშნავი აქცია და სამტრედიელებს შეუძლიათ თავიანთი წვლილი გაიღონ, ვისაც რამდენი შეუძლია".

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია: " მართლაც დიდი მადლია, ჩვენს ქალაქში კარგი და საუკეთესო ტრადიცია გრძელდება, შეჭირვებულ ადამიანთა დახმარება ქრისტიანული მოვალეობაა, მამა ათანასეს ჯანმრთელობას ვუსურვებ, გვჯერა დაუბრუნდება მალე თავის საქმიანობას. მადლობა უფალს, ასეთი კარგი ახალგაზრდები გვყავს, მადლობა აქციის ორგანიზატორს."

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, დავით ბახტაძე: "რა თქმა უნდა, ვიცნობ მამა ათანასეს, არაჩვეულებრივი ადამიანია, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ქველმოქმედება, სათნოება, ადამიანის გვერდით დგომა შესანიშნავი რამაა, მიხარია, რომ ჩვენს მიერ შეტანილი მცირედი წვლილი წაადგება მამა ათანასეს და ის მალე ჩადგება ჩვეულებრივი ცხოვრების ფერხულში."

მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატო მანჯგალაძე: "მივესალმები ამ აქციას, თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა, ნებისმიერ ადამიანს რომ უჭირს, გვერდით დავუდგეთ, ეს თანადგომა აძლიერებს ადამიანს. მამა ათანასეს გამოჯანმრთელებას ვუსურვებ, დიდი მადლობა ამ ახალგაზრდებს ასეთი ლამაზი ღონისძიებისათვის, როგორც ქალბატონმა ანამ ბრძანა, გაგრძელდება ეს აქცია და მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ გვერდით დავუდგეთ მამა ათანასეს".

მერის წარმომადგენელი ეწრის თემში რევაზ ივანიაძე: "დღეს, სამწუხაროდ, გვყავს ისეთი კატეგორია, რომელიც უფრო მეტად ხალხის თანადგომას საჭიროებს, ვიდრე მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოზე და ერთ კონკრეტულ ორგანოზე ჩამოკიდებას, ალბათ, ქართულმა საზოგადოებამ ბევრი უნდა ისწავლოს ამგვარი ღონისძიებების შესახებ, სასურველი იქნება, არა მარტო ჩვენი კოლექტივების, არამედ, უფრო სხვა ძლიერი კოლექტივების ჩამოსვლით კიდევ რამდენიმე ადამიანს გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე."

საქართველოს წითელი ჯვარი 100 წლისაა

ნინო ნანიტაშვილი

8 სექტემბერი "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების" დაბადების დღეა. 100 წლის წინ ორგანიზაცია მაშინდელი აქტივისტების მიერ დაფუძნდა.

საუკუნის შესრულება სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნა "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების" სამტრედიის ფილიალში.

7 სექტემბერს, ერთი დღით ადრე, სამტრედიის ფილიალის მოხალისეები, საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, თანაქალაქელებს წითელი ჯვრის ლოგოიანი მაფინებით გაუმასპინძლდნენ. ასევე დაარიგეს ფლაიერები წარწერით "საქართველოს წითელი ჯვარი 100 წლისაა" და დაინტერესებულ პირებს საზოგადოების საქმიანობის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფუძემდებლური პრინციპების შესახებ გაესაუბრნენ.

10-14 სექტემბერს "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების" სათავო ოფისის ხელმძღვანელი პირების ინიციატივით დაბა ბაკურიანში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საზოგადოების 11 ადგილობრივი ფილიალის წარმომადგენელი მოხალისეებთან ერთად ესწრებოდა. შეხვედრებს მართავდნენ სწჯს გენერალური მდივნის მოადგილე ნია ბურთიკაშვილი, ვიცე-პრეზიდენტი თამარ სახლთხუციშვილი, ფილიალების განვითარების კოორდინატორი ნინო სამადაშვილი, ფონდების მოძიების კოორდინატორი თიკა კიკაბიძე, კომუნიკაციის კოორდინატორი ანუკი ტალახაძე.

შეხვედრის მიზანი იყო სამუშაო გამოცდილების გაზიარება. გაიმართა დისკუსია არსებულ გამოწვევებზე და მათი მოგვარების გზებზე, შემუშავდა სამოქმედო გეგმა და ყურადღება გამახვილდა კომუნიკაციისა და ფინანსების მოძიების მიმართულებით, ასევე, ნორვეგიისა და დანიის წითელი ჯვრის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, კატასტროფების მართვაზე, რომელიც ფილიალში ხორციელდება.

სამტრედიიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ "წითელი ჯვრის" სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი, ნათია პაპავა და კომუნიკაციის სპეციალისტი სოფიკო ღოღობერიძე.

ნათია პაპავა, სწჯს სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი: "ჩვენი ფილიალის სახელით დიდ მადლობას ვუხდით შეხვედრის ორგანიზატორებს და ყველა მონაწილეს საინტერესო დისკუსიისა და აქტიური თანამშრომლობისათვის. ვიმედოვნებთ, რომ ბაკურიანის შეხვედრაზე მიღებული ინფორმაცია და კოლეგების მიერ გაზიარებული გამოცდილება, დაგვეხმარება ჩვენი საქმიანობის ეფექტურობის ზრდისა და წარმატებული პროექტების განხორციელებაში".

"ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიაში"

საქართველოს სიყვარული "ზვიადისტობამ" მასწავლა

ნათია ნაცვლიშვილი

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი ზურაბ გერაძე ეროვნული მოძრაობის წლებს უცრემლებოდ ვერ იხსენებს. სიტყვაძუნწია, მაგრამ ამ რუბრიკის მიმდინარეობის მანძილზე თანამოძმეთაგან მასზე იმდენი რამ შევიტყვეთ, ტკივილიან ეპიზოდებს მისი ბიოგრაფიიდან ჩვენვე ვახსენებთ. სამოქალაქო დაპირისპირების, ძმათამკვლელი ომის მძიმე წლებმა მისი ოჯახური ტრაგედია გამოიწვია... ზურაბ გერაძემ, "ზვიადისტებად" შერაცხულ სხვა თანამოძმეთა მსგავსად, ერთერთმა პირველმა გაჭრა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის საძირკველი. იგონებს, ხელით ჭზელდით ცემენტს და ვასხამდით დულაბს, დაზამთრებამდე ბალავრის ჩასხმა რომ მოგვესწროო... ამ საქმეს დღემდე არ ჩამოშორებია. 1996 წლიდან "ენერგო პრო-ჯორჯიას" სამტრედიის მძღოლი და მორიგე ელექტრიკოსია.

_ პირველად შიმშილობის აქცია რომ გაიმართა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მახლობლად მდებარე მანქანების ატრაქციონთან მივედი, მაინტერესებდა, რა ხდებოდა. ტროლეიბუსის მძღოლად ვმუშაობდი, ღამის თორმეტამდე დავრჩი. ამ აქციის შესახებ მამაჩემს მოუსმენია ტელევიზიის პირველი არხით, ამ ეროვნულ განწყობას იზიარებდა. მივედი, ბიჭებს რადი შენგელიას და გია სტურუას ვიცნობდი, ზვიად ძიძიგური რკინიგზის გადაკეტვის აქციის დროს გავიცანი, მერე ამ აქციებში აქტიურად ჩავები, ყველა საპროტესტო აქციაზე ვიყავი. ერთხელ მახსოვს, ზვიად გამსახურდია და თემურ ქორიძე ჩამოვიდნენ, რაღაც მოილაპარაკეს და აქცია დაიშალა.

_ **როცა "ზვიადისტები" იღევნებოდით, სახლშიც შემოგიცვივდნენ "მხედრიონელები..."**

_ არც მინდა იმ საშინელი დღეების გახსენება, საწყალი დედაჩემი იმ ამბებმა შეიწირა, მივიდნენ ოჯახში და ავტომატის კონდახი კისერში ჩაარტყეს, სად არის თქვენი შვილიო, უკითხავთ. _ არ ვიცი... მეზობლის ქალს დაუნახავს, სამნი იყვნენო, მაგრამ მისვლა ვერ შეძლეს. მე ეს ამბავი სენაკში მითხრეს, საიდანაც ვეღარ წამოვიდოდი, მერე აბაშაში ჩამოვედით, მერე ხონში. იქ კობა ძიძიგურმა სიკვდილს გადამარჩინა, ღამის სამი საათი იყო, ვიდექით ხონის ცენტრში, გვითხრეს, "მხედრიონი" შემოდისო და ვითარებას ვაკონტროლებდით. მანქანაში ჩაძინებულს კობამ დამიძახა: ჩქარა გადმოხტიო, და იმავე წუთში ჩემი მანქანა რუსების ტანკიდან წამოსულმა ტყვიამ ააფეთქა. შემოვიდნენ ისინი, შეტაკებები იყო, ჩვენ, მებრძოლები ყველანი მარტვილში გადავედით, მერე ისევ სენაკში. მერე მდინარე ცხენისწყალთან და სამტრედიაში. სამტრედიაში ეროვნული ხელისუფლება სამი დღით აღვადგინეთ, ზვიად ძიძიგური პრეფექტურას დაუბრუნდა, ამას, რა თქმა უნდა, შევარდნაძე არ მოითმენდა, ისევ გაგვაძევეს... ბათუმიდან წამოვიდა რუსის ჯარი, შევიდა ქუთაისში და მერე ჩვენკენ, ჩვენ ჯერ სენაკში, მერე კი, ზუგდიდში გავასწარით, მერე იწყება ჩვენი გახიზვნა სვანეთის ტყეში. გორის ბატალიონის ბიჭები, გურია-იმერეთის პოლკის ბიჭები სვანეთის ტყეებს შევეფარეთ. სანამ მოთოვდა, წაბლს ვჭამდით, მახსოვს, წაბლის ფოთოლს ვაშრობდით, ვახმობდით, ვახვევდით და ვეწეოდით. ასე გავტანეთ ოთხი ღამე, იქ იყო მეფუტკრეების ფარდულები, სადაც ათათი კაცი ვათევდით ღამეს, შევედით, შუაცეცხლი დავანთეთ, დილით კარი ვერ გავაღეთ, დავამტვრიეთ, გარეთ გავედით და ვხედავთ, ერთი მეტრი სიმაღლის თოვლი მოსულა... ნოემბრის ბოლო იყო. მე, ბიჭიკო ანთიძე, გია ძნელაძე, სენაკელი და აბაშელი ბიჭები წამოვედით ამ თოვლში ფეხშიშველები, დაბლობში რომ ჩამოვედით, სადაც თოვლი აღარ იყო, სამი მანდილოსანი შემოგვხვდა, დაგვახვედრეს მჭადი და ფხალი, ჩანს ვიღაცამ უთხრა, მშიერი ჯარისკაცები არიანო. მერე წამოგვეწია ცხენიანი კაცი, ქალის "კალოშები" მომცა, ჩავიცვი და მთელი ღამე ვიარეთ, ჩამოვედით აბაშის გარეშე!

_ **სამტრედიის 24-ე ბატალიონში თავიდანვე გაწევრიანდით?**

_ თავიდანვე, შექმნის დღიდანვე არ ვყოფილვარ ბატალიონის წევრი, მხოლოდ მას მერე, როცა კანონიერი ხელისუფლება ძალის გამოყენებით დაამხეს და საჭირო გახდა ჩვენი ბიჭები კვლავ შევკრებილიყავით, მათ გვერდით დავდექი. სამოქალაქო ომის დროს ისევ ჩემს თანამოძმეებთან ერთად ხელში იარაღით ვიყავი.

_ **მშვიდი ცხოვრება როდის გეღირსათ?**

_ შევარდნაძის ხელისუფლების მერე გვეღირსა. მახსოვს, ქუთაისიდან რომ ჩამოვედი, ტროლეიბუსის მძღოლი ვიყავი და სამსახურს დავუბრუნდი, ჩემს სიახლოვეს საიდანღაც აღმოჩნდა ნოდარ ძნელაძე, სამტრედიის ყოფილი გამგებელი. დამინახა, ამოიღო იარაღი და გამიყვანა გაერეთ, აწ განსვენებული იუზა სახოკია ჩაგვიდგა შუაში და სიკვდილისგან მიხსნა, კიდევ შევხვდებით ერთმანეთსო, მითხრა, ამის მერე მას არ შევხვედრივარ. მერე "მხედრიონელები" გორის ბატალიონმა აიყვანა, ისინი სამტრედიაში თარეშობდნენ, "ზვიადისტებს" ავიწროვებდნენ.

_ **ზვიად გამსახურდიას ბუნკერში ყოფნის პერიოდში სად იმყოფებოდით?**

_ დედაქალაქში ვიყავი, სამტრედიაში გამგეობის შენობას ცეცხლი წაუკიდეს მაშინ, როცა ზვიად გამსახურდია ბუნკერში იმყოფებოდა, მე და ჩემი მეგობრები უზენაესი საბჭოს შენობას გარედან ვიცავდით, უიარაღონი, მერე გამგეობის შენობა იწვისო და სამტრედიაში გამოგვიშვეს, ასე ავცდით იმ ტრაგედიას. პუტჩისტებმა ტანკში ააფეთქეს საწყალი ვეფხია წიქვაძე, თევდორე ჯანელიძე ვერც მკვდარი ნახეს და ვერც ცოცხალი...

_ **ღღეს როგორ ზვდებით ერთმანეთს "ზვიადისტები" და ყოფილი "მხედრიონელები"?**

_ ერთმანეთს გამარჯობას არ ვუკარგავთ, თავადაც მიხვდნენ, რომ ის ომი არ უნდა დაეწყოთ საკუთარი თანამოძმეების წინაშე, ამით ყველა ჩვენგანმა წააგო და იმ გასულმა 25 წელმა საუკუნით უკან დაგვახევინა. გახლიჩა ერი შუაში, ეს ყველა ცოდვა ედუარდ შევარდნაძის კისერზეა. ჩვენს დაღუპულ თანამოძმეთა საფლავებზე ყოველი აღდგომის მეორე დღეს დავდივართ მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

_ **სიტყვა "ზვიადისტი" რას ნიშნავს?**

_ საქართველოს სიყვარულს! მე საქართველოს სიყვარული "ზვიადისტობამ" მასწავლა, ზვიადს აბაშაში, დიდ ჯიხაიშში და ზუგდიდშიც შეეხვედრივარ. განადგურებული იყო, სენაკში რომ ჩამოფრინდა. ხობში ვიყავით, სენაკში პურის ფქვილი მანქანით მოგვქონდა ბატალიონისთვის მე და ზვიად ძიძიგურს, გვაცნობეს, გამსახურდია ზუგდიდშიაო, ჩავედით და ვნახეთ, ეს იყო უკვე დათრგუნული პრეზიდენტი. ხალხის განწყობა არ მავიწყდება, უამრავი ხალხი გამოვიდა ხობში, გაოგნებული ვუყურებდი, სად იყო ამდენი ადამიანი, ეხუტებოდნენ და ამხნევებდნენ მას, ხალხი მზად იყო, მისთვის თავი გაეწირა, მათ ისედაც გასწირეს ზვიადის გამო თავი. ოჯახი არ დარჩა სამეგრელოში, "მხედრიონს" არ დაეყრდნენ! პრეზიდენტის ნეშტი სამშობლოში რომ გადმოასვენეს და "მამადავითზე" აიყვანეს, უდიდესი სიყვარულით გააცილა ერმა საქართველოს ღირსეული შვილი, პირველი პრეზიდენტი!

ახალი სააღმზრდელო წელი დაიწყო

სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ საბავშვო ბაღებში 17 სექტემბერს ახალი სააღმზრდელო წელი დაიწყო. ამ დღეს განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობოდა. სკოლამდელი დაწესებულებები ჟრიამულს მოეცვა სამტრედიის მუნიციპალიტეტშიც.

პატარების სიხარული გაიზიარეს და სააღმზრდელო პროცესის დაწყება მიულოცეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ხათუნა გაგუამ, დირექტორის მოადგილემ მარინა შენგელიამ, ადმინისტრაციის უფროსმა ნუნუ ნინუამ ქალაქის პირველ, მეორე, მეოთხე მეცხრე, მეათე, ღანირის, ნაბაკევის საბავშვო ბაღებს.

წვიმიანი ამინდის მიუხედავად, საზეიმო განწყობა შენარჩუნებული ჰქონდათ აღსაზრდელებსა და მათ მშობლებს. ყველა საბაშვო დაწესებულებაში აღმზრდელები თბილად ეგებებოდნენ აღსაზრდელებს და გარემოს აცნობდნენ.

უნდა ითქვას, რომ ყველა ბაგა-ბაღში საზეიმო გარემო სუფევდა. ადგილობრივებს ძალა და ღონე არ დაუშურებიათ იმისათვის, რომ განსაკუთრებულად მიმზიდველი ყოფილიყო ბავშვებისათვის მათი ჯგუფები, ცდილობდნენ, პატარებისათვის შეემსუბუქებინათ დედის კალთიდან მოშორების ტკივილი.

17 სექტემბერს სააღმზრდელო პროცესი სამტრედიის მუნიციპალიტეტის 24-ვე საბავშვო ბაღში დაიწყო. "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ხათუნა გაგუამ დასძინა, რომ "ბაგა-ბაღებში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოები ცოტა მოგვიანებით დაიწყება, რასაც ხელი არ შეუშლია, სკოლამდელი დაწესებულებები აღსაზრდელებს მოწესრიგებული დახვედროდათ. თითქმის ყველა ბაღში ბავშვთა რაოდენობის მატებაა. წლევანდელი წელიც გამოირჩევა იმით, რომ სახელმწიფო ბაღებში აბსოლუტურად გაუმჯობესებული კვებაა, გაერთიანებამ წინასწარ უზრუნველყო 24-ვე ბაგა-ბაღში პროდუქტის, საკანცელარიო მასალის, ჰიგიენური საშუალებების შეტანა. მინდა, ვისურვო, ჩვენი მუნიციპალიტეტის აღსაზრდელებისთვის ბაღში გატარებული წლები მათი ცხოვრების ლამაზ მოგონებად დარჩეს. ვეცდებით, ამისთვის მათ ყველანაირი პირობები შევუქმნათ".

ნინო ნანიტაშვილი

ამ ქვეყანაზე ერთი ხარ, ერთი...

"ხშირად გვესმოდა ახალგაზრდობაში ამ სტრიქონებში დაუტეველი სიყვარულის მელოდია ისეთი ლამაზი და ძლიერი ტემბრით, გეგონებოდათ, სახლს ჭერი აეხადაო. გამომეტყველებაც გულწრფელი ჰქონდა, ვიტყოდი, _ ქართული ხასიათისა და შთაგონების. ეს გახლდათ თავადური წარმოშობის, ღვაწლმოსილი პედაგოგების, იდა დგებუაძის (ცნობილი საზოგადო მოღვაწის კოკინია დგებუაძის და) და დავით ჩხეიძის გულგამთბარი ინტელექტუალური ოჯახის ფუძეზე მოვლენილი უბრალოებითა და სიკეთით სავსე ახალგაზრდა ლევან (ბიჭიტა) ჩხეიძე, რომელსაც თავს დაჰკანკალებდნენ უფროსი დები ლიანა და მაყვალა ჩხეიძეები. ის ჩვენი თაობის სიმბოლო იყო, რომელმაც კარგად იცოდა ოჯახის ღირსება, ეროვნული ტრადიცია, დედმამიშვილობა, ნათესაური ურთიერთობა და მეგობრობა _ ხალასი, და-ძმური, უანგარო და უღალატო.

60-იან წლებში, როცა კომკავშირის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივნად ვმუშაობდი, ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოში თამაზ მიქაძის დაწინაურების შემდეგ, მეორე მდივნის თანამდებობაზე სწორედ ლევანს გავუწიე რეკომენდაცია და არც შევმცდარვარ. სხვათა შორის, ერთ-ერთმა პარტიულმა ხელმძღვანელმა შემახსენა, არ გეშინია, კარგი ოჯახის შვილია, განათლებული და თავის პროფესიულ საქმეში წარმატებული (ხის დამმუშავებელ კომბინატში მუშაობდა მთავარ ენერგეტიკოსად). არც დავფიქრებულვარ, მყისიერად მივუგე, მე გადაწყვეტილება მივიღე, სწორედ ასეთი ავტორიტეტული ახალგაზრდა მჭირდება-მეთქი.

ლევან ჩხეიძე გასული საუკუნის 70-80-იანი წლების ცხოვრების შუაგულში იდგა, იყო წამყვან თანამდებობებზე, ხელმძღვანელობდა სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომს და აქტიურად იღვწოდა სამტრედიის მომავლის აღმშენებლობისათვის, რომ ის საბედისწერო გამოწვევა არა! 1985 წელს ლევან ჩხეიძე საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველ მდივნად გადაჰყავთ, დიახ, გადაჰყავთ მისი ნების საწინააღმდეგოდ. მაშინ ბატონი დავით ჩხეიძე ხანდაზმული გახლდათ და მას არ შეეძლო მამის მარტოდ დატოვება, რაზეც გასაუბრების დროს მოკრძალებულად აღუნიშნავს კიდეც, მაგრამ ამაოდ...

ლევან ჩხეიძემ ცაგერის რაიონში, ამ არაჩვეულებრივ კუთხესა და ხალხში მისი მუშაობის მცირე პერიოდში (სულ რაღაც სამი თვე) დიდი სიყვარული და ნდობა მოიპოვა, მაგრამ გულმა უმტყუნა და სწორედ იმ დღეს, 14 სექტემბერს, როცა ლევანს სიხარულით ელოდნენ ოჯახში და მეორე დღეს მეუღლესთან და შვილებთან ერთად ცაგერში უნდა დაბრუნებულიყო, ის გულის ინფარქტით გარდაიცვალა.

ენით გამოუთქმელი ტკივილით და ცრემლით მოედინებოდა შავად შეფერილი აზვირთებული რიონი და ჩხეიძეთა დიდ ოჯახში მოჰქონდა შემზარავი ამბავი და განუზომელი სევდა. აცრემლდა ქალაქი, მწუხარებამ დაისადგურა. საქართველოს ყველა კუთხიდან უსამძიმრებდნენ ოჯახს, სარაიონო კულტურის სახლიდან მაცხოვრის სასაფლაოსკენ დაიძრა სამგლოვიარო პროცესია. აქ იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები, ბატონები პავლე გილაშვილი, ნოდარ ჭითანავა, ჟიული შარტავა, ქალბატონი ზინაიდა კვაჭაძე, რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელი მუშაკი, სრულიად სამტრედია და ცაგერის რაიონის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა, ხალხის ასეთი ნაკადი, როგორც ამბობდნენ, სამტრედიას არ ახსოვდა...

მაშინ ლევანი 42 წლის იყო. დიდი დრო გავიდა, 33 წელი, 6 ოქტომბერს ლევან ჩხეიძე 75 წლის გახდებოდა. რამდენი რამ გადაიტანა ოჯახმა, უმშვენიერესმა და უერთგულესმა ნანამ. შვილები დაქალდნენ, შვილიშვილები წამოიზარდნენ, სიმბოლურია, რომ უფროს ქალიშვილს ხათუნას, პირველი შვილი ვაჟი შეეძინა და მას ლევანი დაარქვეს.

მისმა შთამომავლობამ, სამტრედიის საზოგადოებამ უნდა იამაყოს ლევან ჩხეიძით, მისი კაცურ-კაცობით, ნაღვაწით, რაც მოასწრო და გააკეთა.

ის იყო ერთგული მეგობარი, სიკეთით სავსე, კეთილმოსურნე ადამიანი, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, სულით და გულით ქართველი, საქართველოზე, მშობლიურ სამტრედიაზე უსაზღვროდ შეყვარებული.

მახსენდება 1984 წლის 31 დეკემბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის ცენტრში რაიონის ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული ტრადიციული საახალწლო კაფე, რომელსაც სტუმრებიც ესწრებოდნენ. ლევან ჩხეიძემ სადღეგრძელოების კონკურსი გამოაცხადა. ერთ-ერთმა სტუმარმა გოგონამ შეკრებილთ მიწისქვეშა საქართველოს სადღეგრძელო შესთავაზა, ლევანს ცრემლი მოერია, მასთან მივიდა და გამარჯვება მიულოცა. ეს ლევანისათვის უკანასკნელი საახალწლო შეკრება იყო. 1985 წლის შემოდგომაზე ის მამულიშვილთა სავანეს შეუერთდა, რომლებიც ცათა სასუფეველში განისვენებენ და თავიანთი განსაკუთრებულობით დავიწყების საშუალებას არ გვაძლევენ. უახლოესი მეგობრების და საზოგადოების საყოველთაოდ მოძალებული ტკივილითაა გაჯერებული ლევან ჩხეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც თანამემამულე პოეტმა და მეგობარმა, ქალბატონმა ზოია ვაშაკიძემ იმ მძიმე დღეებში დაწერა და ახლახან თავის საიუბილეოდ გამოცემულ კრებულში შეიტანა, ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს ამ ლექსის წრფელი სტრიქონებით მინდა გავანდო მეგობარი პოეტის გულისთქმა:

მზე სექტემბრის დღის ამწიფებს მტევანს,
ველს არ გასცლია მწვანე ბალახი,
არ დაწყებულა ჯერ ფოთოლცვენა,
შენ სად გაცილებს შენი ქალაქი?
რად აგვაცრემლე, შენი ბუბუნა
ხმა, რამ ჩაწყვიტა ასე ადრიან,
გულმა შენს დღეებს როგორ უმტყუნა,
რამ დასცა მეხი შენს გზას ვარდიანს!
ცაში ფრინავდი თბილი ფიქრებით
გიცნობდით სულით მაღალს, გოლიათს,
ფრთებს არწივივით ლაღად იქნევდი,
გული კი თურმე ჩიტის გქონია.
მზე სექტემბრის დღის ამწიფებს მტევანს,
შემოდგომის დღის მზეში ვმღეროდით,
რად აგვაცრემლე, სად მიხვალ ლევან,
შენს ხვალინდელ დღეს სხვაგვარს ველოდით.
ტირის ქალაქი, ეს ცრემლია თუ
ლეჩხუმის მთიდან მომწყდარი ნისლი?
ისევ მოიქნევს ფრთას გოლიათურს
შენი ძმობის გზით გამთბარი ფიქრი.

ლევან ჩხეიძის ძმობის გზით გამთბარი ფიქრი დღესაც გვაერთიანებს ხანდაზმულ მეგობრებს და მისი დაბადების 75 წლისთავის საიუბილეო დღეებში თბილ მოგონებებთან ერთად სევდასა და ტკივილებს გვიმძაფრებს.

ნათელა გელეიშვილი

70-იანი წლები. სურათი გადაღებულია რკინიგზელების კლუბის წინ. მეგობრები: ლაშარა მელქაძე, ნათელა გელეიშვილი, ვაჟა მხსილაძე, ლევან ჩხეიძე (შუაში), მერაბ შენგელია.

გალერეა

როცა ასეთი სიყვარულია

ლევან გაბეჩავა

კიდევ ერთ ღირსეული სამტრედიელი, ღვაწლმოსილი ინჟინერი, ბატონი რევაზ ჩხეიძე სტუმრობს დღეს ჩვენს გაზეთს.

ხონის რაიონის სოფელ კინჩხაში დაიბადა. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და მუშაობა სამტრედიის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში, (შემდეგომში ხის დამამუშავებელ კომბინატში) დაიწყო დურგალ-მეავეჯედ. ბატონი რეზოს თვალწინ მოხდა სამტრედიის სინამდვილეში ამ გიგანტი საწარმოს აღორძინება, სიმძლავრეთა ზრდა და ცნობადობა კავშირის მასშტაბით.

კომბინატის თავკაცებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მუყაითი ახალგაზრდის შრომა და იგი სასწავლებლად მოსკოვის სატყეო მეურნეობის ინსტიტუტში მიავლინეს, რომლის დამთავრების შემდეგ, უკვე ინჟინერ-ტექნოლოგი, სხვადასხვა წლებში გახლდათ საამქროს უფროსი, ავეჯის წარმოების უფროსი, მთავარი ტექნოლოგი, საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროსი, კომბინატის მთავარი ინჟინერი, ხელმძღვანელობდა მერქან-ბურბუშელოვანი ფილების ქარხნის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების საქმეს.

1978-1980 წლებში იყო კომბინატის დირექტორის მოადგილე.

1980 წელს ბატონი რეზო ხის დამმუშავებელ კომბინატთან არსებულ სატყეო მეურნეობის ტექნიკუმის ფილიალის ხელმძღვანელად ინიშნება, რომელიც კომბინატისათვის კვალიფიციურ კადრებს ამზადებდა.

მომდევნო წლებში კვლავ კომბინატის მთავარი ინჟინერი და შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეა.

აღსანიშნავია, რომ ყველა ამ თანამდებობაზე იგი საოცარ პროფესიონალიზმს, საქმისადმი საუცხოო სიყვარულს ავლენდა, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა კომბინატის მრავალათასიან შრომით კოლექტივში რაიონის საზოგადოებაში, ამაზე მეტყველებენ ფასიანი საჩუქრები, სიგელები, მედლები, უხვად რომ ინახება მის პირად არქივში.



იცის ბატონმა რეზომ მეგობრისა და მეგობრობის ფასი, ამიტომაცაა, რომ ყოფილი თანამშრომლები სიყვარულით ულოცავენ ღირსეულ იუბილეს.

ქვეყანაში განვითარებული რთული ვითარების გამო, კომბინატმა შეწყვიტა ფუნქციონირება და ჩემი კარიერაც დასრულდა ამ საწარმოშიო, _ ამბობს ბატონი რეზო.

არაერთი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი, მრავალი ჯილდოს მფლობელი, ღვაწლმოსილი ინჟინერი შესანიშნავი ოჯახის თავკაცია. მას და მის მეუღლეს 4 შვილი და 5 შვილიშვილი ჰყავთ. ოთხივე შვილს უმაღლესი განათლება აქვთ და თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან.

80 წლისა შესრულდა ამ დღეებში ბატონი რეზო, სახელოვან იუბილეს ვულოცავთ და ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს ვუსურვებთ.

ბატონ რევაზ (რეზო) ჩხეიძეს!

ღვაწლმოსილ ინჟინერს, ღირსეულ სამტრედიელს, ერთგულ მეგობარსა და ბრწყინვალე ოჯახის წინამძღოლს ბატონ რევაზ (რეზო) პოლიაქტორის ძე ჩხეიძეს ვულოცავთ სახელოვან იუბილეს, 80 წლის შესრულებას.

ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს ვუსურვებთ საყვარელ ოჯახთან ერთად კეთილისმსურველთა გასახარად.

იდღეგრძელეთ, ბატონო რეზო!

პატივისცემით: ნაზიბროლა ალეიშვილი, მერაბ არჩვაძე, ჯუმბერ ივანიაძე, ზურაბ კოზრეიძე, გენადი მიქაძე, ლევან კაკაბა, სულიკო ფურცელაძე, გიორგი წილოსანი, გურამ შანიძე

ნიკო ნიკოლაძის საიუბილეოდ

ყველა ცხოვრობს წითელ, ყველა ოცნებობ...

ლევან გაბეჩავა

უკიდურესი სიძაბუნის ჟამს მოუვლინა საქართველოს განგებამ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, დავით სარაჯიშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა ერისკაცები, ქვეყნის მსახურება რომ მიაჩნდათ საკუთარ მოვალეობად. იყვნენ თეორეტიკოსები, იყო პრაქტიკოსი ნიკო ნიკოლაძეც, თუმცა თეორიებიც მისეული, ნიკოსეული ნაზრევიც ხომ ქართული ნიჭის გენის განსახიერებაა.

ღრმა სიბერემდე ტრიალებდა ცხოვრების შუაგულში. არა მარტო საქართველოში, ევროპაში, რუსეთის იმპერიაში არ მომხდარა ნახევარი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი რამ, ნიკოს მისეული აზრი რომ არ გამოეთქვა, სიტყვა არ ეთქვა საქმიანი, საუკეთესო შედეგზე რომ იყო გათვლილი.

რკინიგზის ქსელს ზრდა-განვითარება, ფოსტა-ტელეგრაფი, სკოლები, სამკითხველოები, სარწყავი არხები, პრესა... ცალ-ცალკე და ყველა ერთად ნიკოს საზრუნავ-საფიქრალს წარმოადგენდა.

არავინ დავობს, რომ სამტრედიის, როგორც ქალაქის დაარსება რკინიგზის ხაზის გაყვანას უკავშირდება, რკინიგზის ხაზის გაყვანა და ამ დარგის განვითარება კი _ ნიკო ნიკოლაძეს. მაშასადამე, სამტრედიელები განსაკუთრებით ვალში ვართ ერისკაცის ღვაწლისადმი, მისი პიროვნებისადმი.

ფოთის ქალაქის თავად ყოფნისას ნიკომ იმდენი გააკეთა, მეტი რომ არა, მხოლოდ ის იკმარებდა მისი სახელის უკვდავსაყოფად. ცალკე საუბრის თემაა დამსახურება ნიკო ნიკოლაძის ოჯახის თითოეულ წევრს რომ მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე.

გულხელდაკრეფილი როდი ელოდა ნიკო მზა რეცეპტებს, პირიქით, ბევრს მოგზაურობდა ქვეყნის გარეთ, ეცნობოდა მოწინავე ქვეყნების მოწინავე გამოცდილებებს და ცდილობდა ჩვენთან, საქართველოში დაენერგა ისინი, რაღა თქმა უნდა, ხალხის საკეთილდღეოდ, ერის დაწინაურებისათვის.

ბრწყინვალედ უწყოდა გენიალურმა მოაზროვნემ ქართველი კაცის ფიცხი ბუნება, სულსწრაფობაც და მიუთითებდა, რომ ნებისმიერი სიახლის დანერგვისას საოცარი სიფხიზლე, ზომიერება გამოგვჩინა, ბრმად კი არ გადმოგვეტანა იგი საქართველოში, არამედ შეგვეხამებია ჩვენს ტრადიციებთან, იდენტობასთან, კულტურასთან, ისტორიასთან, ქართველი კაცის ბუნებასთან.

ქვეყნის დაწინაურებისა და ხალხის კეთილდღეობის საწინდრად ნიკოს ეროვნული მრეწველობის, სოფლის მეურნეობის აღორძინება მიაჩნდა.

უფრო მეტი უნდა გავიტანოთ ქვეყნიდან, ვიდრე შემოვიტანოთ, რაკი მთლიანად სხვებზე არ ვიყოთ დამოკიდებული. _ ამბობდა იგი.

ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მიიჩნევდა ერისკაცი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ერთ-ერთ წინაპირობად.

საყურადღებოა, დროის სვლასთან ერთად ახლებურ დატვირთვას იძენს ნიკო ნიკოლაძის ნაზრევი სწავლა-აღზრდის, სახელმწიფო მოწყობის, ქალთა და, ზოგადად, ადამიანთა უფლებების, სინდისის, რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლებიც ჯეროვნად კიდევ არაა გამოკვლეული და შესწავლილი.

შეუძლებელია, ერთ წერილში, რაგინდ მოცულობითიც უნდა იყოს, სრულად და ყოვლისმომცველად ვისაუბროთ ამ ღმერთამდე ამაღლებული კაცის ღვაწლზე, მის ნახევარსაუკუნოვან მუხლჩაუხრელ საქმიანობაზე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ, მიუხედავად დიდი ნიკოს ასეთი განუზომელი ეროვნული ღვაწლისა, მისი მოღვაწეობის შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი სასწავლო სახელმძღვანელოებში, შესაბამისად სასწავლო წიგნებში მისი ბიოგრაფიაც კი არაა შეტანილი(?!)

არადა, საოცრად საჭიროა, რომ მომავალმა თაობებმა უფრო სიღრმისეულად იცოდნენ ნიკოს მოღვაწეობის შესახებ.

არც ის იქნება ურიგო, თუ ქვეყანაში გამოჩნდება ვინმე ღვთისნიერი და დოკუმენტურ ფილმს მაინც გადაიღებს ნიკოს შესახებ.

მართალია, სამტრედიაში არ დაბადებულა, თუმცა სამტრედიაში, სოფელ დიდ ჯიხაიშში, დედულეთში _ ლორთქიფანიძეთა მამულში გაატარა მან ცხოვრების დიდი და ბოლო წლები. არაფერს ვამბობთ იმ კოლოსალურ ღვაწლზე ამ სოფლის დაწინაურებისათვის რომ გააკეთა მან.

სასიამოვნოა, რომ სოფელ დიდ ჯიხაიშში ათეული წლებია ფუნქციონირებს დიდი ერისკაცის სახლ-მუზეუმი, რომელსაც სულ ახლახან ახალი სიცოცხლე მიენიჭა.

სამწუხაროა ისიც, რომ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები იშვიათად სტუმრობენ მუზეუმს სასწავლო ექსკურსიების ფარგლებში, ეს მაშინ, როცა სიამოვნებით აწყობენ ორდღიან და სამდღიან ექსკურსიებს.

ჭკუას არავის ვასწავლით, უბრალოდ, ხმამაღლა ვამბობთ _ ნიკოს სხვაგვარი დაფასება, სხვაგვარი აღიარება, სხვაგვარი პატივი ერგება ქართველი ერისგან, თითოეული ჩვენგანისაგან.

მარად ჩვენი თანამედროვეა, დიდი ნიკო ნიკოლაძე (1843-1928 წ.წ.), რომლის ღვაწლი და ნაზრევი მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს, მარად მოძრაობისაკენ, ძიებისაკენ მოგვიწოდებს და გვბიძგებს.

170 წელი სრულდება ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან.



ვალერი ჩხეიძის გახსენება

ვალერი ჩხეიძე _ სასაზღვრო ძალების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი, დიდი ერუდიციის მქონე პიროვნება, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩამომყალიბებელი და მისი თავმჯდომარე 10 წლის მანძილზე. როგორც სარდალს, საინტერესო იდეა ეკუთვნის "სასაზღვრო დასახლების შემოღება-მოწყობის საკითხში" სურვილი ჰქონდა თრუსოს ხეობაში (ხევი) ვეტერანები დაესახლებინა, ასევე, ნებაყოფლობითი რეზერვისტები. მან პირველმა საზღვრისპირა მოსახლეობის სასაზღვრო სამსახურში განწესება უზრუნველყო.

ამბობდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა კარგად იცნობს საზღვრისპირა რელიეფს, ამიტომაც ისინი უკეთესად დაიცავენ სახელმწიფო საზღვარს და მათი წვრთნა და სწავლება შემოიღო. ასევე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სასაზღვრო ზოლში ეკლესია-მონასტრების მდგრადობას და ახლის მშენებლობას, რაზეც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II ლოცვა-კურთხევა ჰქონდა.

აქვე მინდა, მისი ცხოვრებიდან ერთი შტრიხი გამოვყო: როდესაც რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო უწყება ცდილობდა საზღვრის პერიმეტრის გადმოწევას, მან ქართული მიწის ერთი გოჯი არ დათმო, რის გამოც რუსეთის საზღვრის ფედერაციის ხელმძღვანელი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ ვალერი ჩხეიძე პროფესიონალი და თავისი სამშობლოს ერთგული იყო, ის აფასებს მის მხედრულ მამაცობას.

ვ. ჩხეიძის პასუხი იყო, რომ ქართველებმა კარგად იციან მოყვასის და მტრის ფასი, იციან, ვის როგორი პასუხი გასცენ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ტოლერანტები არიან დედასამშობლოსათვის თავდადებულები ვართ.

ნიშანდობლივია აფხაზეთის ომის ერთი ეპიზოდიც, რასაც თანამებრძოლები იხსენებენ. როდესაც ერთ-ერთი თანამებრძოლი დაჭრეს და გადაადგილებას ვერ ახერხებდა, ჯგუფს ჩამორჩა. ცნობილი გახდა რა ეს ვ. ჩხეიძისათვის მან პირადად მხრებზე შეისვა დაჭრილი თანამებრძოლი და ბრძოლის ველიდან გაიყვანა _ სიცოცხლე შეუნარჩუნა. შემდეგ როდესაც მას ჰკითხეს, რატომ არ გასცა ბრძანება, ეს რომელიმე თანამებრძოლს გაეკეთებინა, მისი პასუხი იყო: "მეთაურის მოვალეობაა თითოეული მებრძოლის სიცოცხლისათვის მზრუნველობა, ეს კი ბრძოლის დაუწერელი კანონია. დღეს ის დაჭრილი სასაზღვრო ძალების პოლკოვნიკია.

საოცარი იყო მისი სამუშაო კაბინეტის ხილვა, სადაც იქ მყოფს შემოსცქეროდა დავით მეფის, თამარის, ერეკლეს სურათები, ხოლო მაგიდასთან ახლოს ბაბუის, სიმონ ჩხეიძის სურათი ჰქონდა, რომელიც პირველი სამამულო ომის მონაწილე იყო.

ერთხელ მასთან ინტერვიუზე მისული ჟურნალისტი ეუბნება, ვისთან არ ვყოფილვარ, კაბინეტში ყველას ამჟამინდელი პრეზიდენტის სურათი უკიდია კედელზე, თქვენთან კი სულ სხვა გარემოა. საინტერესოა ვალერი ჩხეიძის პასუხი: "ჩვენი წინაპრები ცოცხალი ადამიანის სურათს კედელზე არ კიდებდნენ, მთავარი ის არის, რომ არ უნდა დაგვავიწყდეს, ვისი გორისა ვართ".

ვალერი ჩხეიძეს თავდადებული შრომით, ადამიანური ღირსების დაცვის ინტერესისადმი უანგარო ერთგულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საკითხში, რაც ზნეობრივი გმირობის მაგალითია. სამშობლოს წინაშე გაწეული სამსახურისათვის დაჯილდოებულია არაერთი სახელმწიფო ორდენით და მედლით, ასევე მეგობარი ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოებით.

გია ბოჭორიშვილი
მერხის მეფლვანი

ო, როგორ ძლიერ მომნატრებიხარ

უშენოდ უკვე შენი დაბადების დღეც მოვიდა, 26 სექტემბერს 70 წელი შეგისრულდებოდა. იშვიათად იბადება შენისთანა ადამიანები. შენი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი არ იკურნება. სანამ ვიცოცხლებ, სიკვდილის ბოლო წუთამდე დამწუხრებული ვიქნები. შენი კაცობით მოახერხე დაგეტოვებინა კეთილი კვალი დედამიწაზე. დიდი გზა გაქვს განვლილი დღვანდელი გადასახედიდან, მაინც დაღლილი და ნაწყენი წახვედი. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა, რომელიც ძალიან გიყვარდა და გენატრებოდა. ბედნიერი ვარ და ამაყი, რომ შენი ძმა ვიყავი. დიდ მადლობას გიხდი. მუდამ ვილოცებ შენი სულისათვის, რათა ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში. ღმერთო, რა ძნელია უშენობა! რაც დრო გადის, უფრო მძაფრდება შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი. იძინე მშვიდად, შეხვედრამდე...

დღეს დავიჩოქებ კვლავ შენს საფლავთან
და მიწას მოვრწყავ ჩუმი ცრემლებით.
ო, როგორ ძლიერ მომნატრებიხარ,
მომნატრებია შენი ალერსი.
დღეს შენი დღეა, ძმაო ძვირფასო
და უსაშველოდ დარდი მაწუხებს.
შენი ალერსი მომნატრებია
და შენს მაგივრად მიწას ვიხუტებ.
ის გულისცემა მომნატრებია,
ჩვენთვის რომ სცემდა მრავალი წელი.
შენი ღიმილი მომნატრებია,
ისეთი სათნო, ისეთი წრფელი.
ის გამოხედვაც მომნატრებია,
გაბრაზებული როცა მიცქერდი.
მომნატრებია ჩვენი ბავშვობა,
როცა შენს გვერდზე მყარად ვიდექი.
რჩევებს მაძლევდი, მიფრთხილდებოდი
და მე ბავშვურად ისევ ვცელქობდი.

შენი ერთადერთი ძმა თენგიზ ჩხეიძე

აკაკი (კაკო) ნინუას გახსენება



2 ოქტომბერს 40 დღე სრულდება შენი გარდაცვალებიდან. უკვე ერთად ხართ შენ და შენი ერთადერთი, 17 წლის უნახავი შვილი. გვაკლიხარ ძლიერ, უზომოდ დაგვწყვიტე გული.

მშვიდად იძინეთ, არასოდეს დაგივიწყებთ, თქვენი სულების უკვდავებისათვის მლოცველები.

ლეგანი

ირაკლი ქუთათელაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად

13 სექტემბერს გვიან საღამოს დასრულდა მინი ფეხბურთის ტურნირი, რომელიც ტრაგიკულად დაღუპული გმირის, საპატრულო პოლიციის თანამშრომლის, სამტრედიის მკვიდრის, ირაკლი ქუთათელაძის, სახელის უკვდავსაყოფად ტარდება.

ტურნირში 12 _ სამტრედიის პოლიციის რაიონული განყოფილების, ბანკი "კრისტალის", ააიპი "კომპლექსური სპორტული სკოლის", იმერეთის საპატრულო პოლიციის, სს "ვისოლის", "საქართველოს ბანკის", მუნიციპალიტეტის მერიის, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრედოს", ააიპი სამტრედიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის გაერთიანების, "თიბისი ბანკის", შპს "იმერეთი გრინერის" და "საქართველოს რკინიგზის" გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრება წარიმართა უშეღავათო, ამასთანავე, კორექტულ გარემოში. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამოიკვეთა 4 დაწინაურებული გუნდი, რომელთაგანაც მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში საპატრულო პოლიციის გუნდმა "კრედოსთან" გამარჯვება მოიპოვა.

ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სამტრედიის პოლიციისა და "თიბისი ბანკის" გუნდები. დაძაბულ ორთაბრძოლაში სამტრედიის პოლიციის გუნდმა გაიმარჯვა.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდებისათვის ფასიანი საჩუქრები და ფულადი ჯილდოები დაწესებული ჰქონდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას. ასევე ფასიანი საჩუქრები გამოყო ირაკლი ქუთათელაძის მამამ, ნუკრი ქუთათელაძემ და სამტრედიელმა ვეტერანმა ფეხბურთელმა ტარიელ დვალიშვილმა.

ტურნირის ორგანიზატორი ამჯერადაც სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია იყო. თამაშებს სისტემატურად ესწრებოდა ოფიციალური სამტრედია.

დავით ბახტაძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: "ყველას კარგად მოეხსენება, რომ ირაკლი ქუთათელაძე არის ეროვნული გმირი. საამაყოა, რომ ის სამტრედიის მკვიდრია. მან საკუთარი სიცოცხლის ფასად სხვისი სიცოცხლე გადაარჩინა. ჩვენ ტრადიციულად, ირაკლი ქუთათელაძის სახელის უკვდავსაყოფად, ვატარებთ ტურნირს მინიფეხბურთში. მიმდინარე წელს ჩატარებული ტურნირი გამორჩეული მონაწილეთა რაოდენობით, ასპარეზობის ხარისხით. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ტურნირში მონაწილე გუნდებს და ირაკლი ქუთათელაძის ოჯახის წევრებს. ეს ტურნირი ასევე ემსახურება მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობას და კარგი მაგალითია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის.

ნინო ნანიტაშვილი

ტურნირი 25-ე წლისთავს მიეძღვნა

25-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირი ჩატარდა ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელიც აგვისტოში ტრადიციულად იმართება ნაადრევად გარდაცვლილი სოფლის მკვიდრის, ემილო ნუცუბიძის, ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ტურნირში, რომელიც 15 აგვისტოს დაიწყო და პირველ სექტემბერს დასრულდა, მეზობელი სოფლების ახალბედებით დაკომპლექტებული 8 გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის იყო იანეთის, საყულიის, ოფშკვითის, პირველი ეწრის, მეორე ეწრის, შუა ბაშის, ქვედა ბაშისა და ზედა ბაშის გუნდები.

თამაშები დიდი ინტერესით მიმდინარეობდა. შეხვედრებს მაყურებელი არ აკლდა. გულშემატკივრები თავიანთი ფავორიტ გუნდებს გულმხურვალედ თანაუგრძნობდნენ და ამხნევებდნენ. შეხვედრის დასაწყისშივე გამოიკვეთა ლიდერი _ შუა ბაშის, ოფშკვითისა და იანეთის გუნდები.

ტოლს არავის უდებდა სოფლის ვეტერანთა გუნდი, რომელიც დამოუკიდებლად ასპარეზობდა და იმდენი იმარჯვა, ნახევარფინალში მოიხვედრა თავი. ოფშკვითის გუნდთან ასპარეზობისას დამარცხდა მცირედი სხვაობით _ 5:3. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ოფშკვითისა და შუა ბაშის გუნდები. გამარჯვებისათვის ორთაბრძოლამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ბაშის გუნდის საგულშემატკივროდ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია მერის, ვალერიანე ფოცხვერიასა და მერის მოადგილის, დავით ბახტაძის, ხელმძღვანელობით, თითქმის, სრულად იყო წარმოდგენილი.

პირველობა ღირსეულად მოიპოვა შუა ბაშის გუნდმა. ანგარიშით 3:2 ადგილობრივებმა 25-ე საიუბილეო ტურნირს თავიანთი გამარჯვება მიუძღვნეს. თამაშის ბოლოს დაჯილდოება გაიმართა. მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი პრიზები ადგილობრივმა ხელისუფლებამ პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები დააჯილდოვეს. საჩუქართან ერთად ბომბარდირის საუკეთესო ტიტული მიენიჭა ჯუმბერ თხელიძეს. ბაშის გუნდის კაპიტანს, ლაშა ხაზარაძეს, როგორც იუბილარს, სპეციალური საჩუქარი გადაეცა.

ტურნირის მონაწილეები იმავე დღეს გავიდნენ გარდაცვლილის საფლავზე და პატივი მიაგეს ემილო ნუცუბიძის ხსოვნას.

ნინო ნანიტაშვილი



მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ მეუფე საბას უდიდესი პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს.

უფალმა გაგაძლიეროთ მეუფეო!

"სამტრედიის მაცნეს" რედაქცია

მადლობა თქვენ...

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ალაპარაკდა მსოფლიო უნიჭიერესი სამტრედიელი ქირურგის ნიჭის გამო. იუსტინე ჯანელიძე გვყავს მხედველობაში უნიკალურ ოპერაციებს რომ აკეთებდა. ცნობილი მეცნიერების, მენდელეევისა და პავლოვის, საფლავებს შორის განისვენებს აკადემიკოსი იუსტინე ჯანელიძე.

ჯანელიძეთა გვარის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია უნიჭიერესი ქირურგი ბატონი მერაბ ჯანელიძე. მის მიერ გაკეთებული ურთულესი ოპერაციების საუცხოო შედეგებზე დიდი ხანია ხმამაღლა აღფრთოვანებულები საუბრობენ მადლიერი პაციენტები.

რამდენიმე თვის წინ თავად გახლდით ბატონი მერაბის პაციენტი.

როცა ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, ბატონმა მერაბ ჯანელიძემ და მისმა ასისტენტმა მერაბ ჩიქოვანმა შეუძლებელი შეძლეს და სიცოცხლე შემინარჩუნეს.

სიტყვებს ვერ ვპოულობ სამადლობელი გამოვხატო მარჯვენაკურთხეული დასტაქრების მიმართ. ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას სნეულთა იმედად და ნუგეშად თქვენნაირი ადამიანები, ბატონო მერაბ!

ულრიქსი პატივისცემით ნინო ტალაბაძე

ვულოცავთ!

ღანირის საჯარო სკოლის ბუღალტერს, ღირსეულ ქალბატონს, მარინა მანჯგალაძეს, ვულოცავთ ვაჟიშვილის გაბედნიერებას და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ!

ღანირის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი

მაყვალა ჩირგაძეს!

ჩვენო ერთგულო მეგობარო, საუკეთესო დედავ, ბებიავ და დიდო ბებიავ, ფაქიზი სულის ადამიანო, მოყვასისათვის გულისხმიერო, კეთილშობილო. სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. ვისურვებდით, ყოველი წლის მატებას ჩვენი პოეტი ქალბატონისათვის ოჯახური ბედნიერება, ულევი პოეტური სიტყვა და სიხარული მოეტანოს.
დიდხანს ალამაზებდე ჩვენს ცხოვრებას, მეგობრობას, შენს საყვარელ ქალაქს. ლექსითა და სიყვარულით ნაფერ გზაზე გევლოს, ჩვენთვის ძვირფასო ადამიანო!

შენი მეგობრები

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს პოეტ ქალბატონს, ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და მეგობარს. მრავალს დაესწარით!

"სამტრედიის მაცნე"

ვულოცავთ!

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავს დაბადების დღეს და ბედნიერ დღეთა სიმრავლეს უსურვებს

გიგიანტი ბიბილეიშვილს

~სამტრედიის მაცნე~

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა